ახალი იბერია

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის

საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ორგანო.

LA NOUVELLE IBERIE

L'Administration: M.r V. Djibladzé 8, rue Coypel, 8 Paris (13)

მარტი 1939 წ. № 12 MARS 1939.

მარტი 1939

ვარშავა და მოსკოვი

სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულებას უმთავრესად საერთაშორისო ზავის ხელშეკრულება უდევს საჩრულად. თითქმის მთელი ქვეყნიერების საქმეებს და განსაკუთრებით ევროპის ცხოვრებას, ამ უკანასკნელ ხანებში, ვერსალის ზავი განაგებდა. ხოლო ვერსალის ზავი მიუნხენში გარდაიცვალა წარსულ 30 სექტემბერს, დაახლოებით დილის 2 საათზე. ერთა ცხოვრების გეზის მიმცემი ძველი ჩარჩო დაიმსხვრა და მის ნაცვლად ახალი ზღუდე ჯერაც დამკვიდრებული არ არის. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში საერთაშორისო მოვლენები დიდი სისწრაფით ვითარდებიან.

ამ მოვლენათა შორის ჩვენთვის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პოლონეთისა და საბჭოთა რუსეთის დაახლოვების ცდა. რამ გამოიწვია ვარშავის პოლიტიკის ასეთი აბრუნდი და რამდენად არის ეს დაახლოვება შესაძლებელი?

ვერსალის ზავის დამსხვრევის ერთად ერთი მიზეზი, ეს არის გერმანიის მედგარი ბრძოლა ამ ზავის მიერ დამყარებული პირობების წინააღმდეგ. დამყარებული იყო ბევრი ისეთი წესი, რაც პოლიტიკურად გასაგები და ადვილი ასახსნელია, მაგრამ მეოცე საუკუნის მორალით ძლიერ უსამართლო და თვით გამარჯვებულ სახელმწიფოთა პრინციპების წინააღმდეგი. ასეთი იყო, მაგალითად, ავსტრიელებისათვის ერთდროულად აღკრძალვა გერმანიასთან შეერთებისა და ჰაბს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურგთა რესტავრაციის მოხდენისა. ასეთივე იყო აგრეთვე სუდეტების გერმანელთა ძალით მიკუთვნება ჩეხიისადმი. გერმანელების ძოთხოვნა ამ კუთხის შემოერთებაზე, იმდენად ბუნებრივი და სამართლიანი იყო, რომ მთავარ, დაინტერესებულ სახელმწიფოებმა ამ საკითხში დასთმეს და ამით დასტური მისცეს ვერსალის ზავის საძირკველის დანგრევას.

შეიძლებოდა ვერსალის ზავის დაცვა, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ ერთის მხრივ ინგლისსა და საფრანგეთს მათი ერისა და კაცობრიობის წინაშე უსამართლო წესის ომით დაცვის პასუხისმგებლობა აეღოთ, და მეორეს მხრივ, ვერსალის ზავის მოკავშირენი დღესაც მოკავშირეებად გამოსულიყვნენ. მაგრამ 1919 წლიდან დიდი ევოლუცია მოხდა მოვლენათა მსვლელობაში და ამის შედეგად არც ინგლისი და საფრანგეთი იყვნენ განწყობილნი ზემოდ აღნიშნული პასუხისმგებლობა აეღოთ; ხოლო რაც შეეხება მოკავშირეთა დაჯგუფებას, ამას პოლონეთი, იტალია და იაპონია გამოაკლდა. ასეთ პირობებში ევროპის ერთა შორის ურთიერთობა სხვა მსვლელობას ვერ მიიღებდა გარდა მიუნხენში ჩასახული შეთანხმებისა.

მიუნხენის გეზი არის საჯაროდ აღიარება გერმანიის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით გაქანების დასტურის მიცემისა. მიუნხენის აქტის ბუნებრივი, აუცდენელი და პირველი უშუალო შედეგი იყო ჩეხოსლოვაკიის გერმანეთის გავლენის ქვეშ მოქცევა. უმაღლესად განვითარებული მრეწველობის მქონე 80 მილიონიან გერმანიას ჩეხიის ორი მტკაველი ტერიტორია, ეროვნული გაქანების თვალსაზრისით, მხოლოდ ერთ გადასადგამ ნაბიჯის მანძილად თუ ეყოფა. ვერსალის ზავის დამხობის შემდეგ თუ ვინმე ჰფიქრობდა, რომ ბოჰემის ზღუდის გადალახვის შემდეგ, შეიძლებოდა გერმანიის გაქანების კარპატებზე შეჩერება, დღეს ასეთი ილუზია, ალბათ არავისა აქვს შერჩნილი. გერმანიას მისი გავლენის გადიდების ძებნაში მხოლოდ ორი გზა შეძლება ჰქონოდა: ან განეგრძო ბრძოლა საფრანგეთის და ინგლისის წინააღმდეგ და ამ მიზნით, როგორც ეს ბისმარკს ჰქონდა წარმოდგენილი, რუსეთთან შეთანხმების გზა მოეძებნა; ან კვლავ აეღო, ერთი ხნით მიტოვებული ძლიერ ძველი გზა სლავიანთა და გერმანელთა ერმათნეთთან ქიშპობისა, და მაშასადამე, მისი გაქანების მიმართულება ინგლის-საფრანგეთთან როგორიმე სახით შეთანხმების შემდეგ, რუსეთისაკენ მიემართა. პირველი გზა უფრო მძიმე და სახიფათო გასავლელია. ნაკლები წინააღმდეგობის კანონის მიხედვით, გერმანიამ, დღეს დღეობით, მეორე გზა შეარჩია. ჩეხია — ეს მხოლოდ დასაყრდნობი პუნქტია გერმანიის ბრწყინვალე ძლიერების კაშკაშებისა.

მიუნხენის შეთანხმებამ, დიდი ხნით, გერმანიის ძალთა დენას აღმოსავლეთის მიმართულება მისცა. ჩეხიის იქით გერმანიის გავლენის გაძლიერებას პირდაპირ და უშუალო შედეგად მოჰყვება პოლონეთის, რუმინიის და რუსეთის პოლიტიკური ინტერესების შელახვა. ყველამ იცის, რომ გერმანიის ნაციონალისტურ ხელისუფლებას მიზნად აქვს, რაიმე სახით რუსეთის ბაზრის დაუფლება და იქ მისი გავლენის დამკვიდრება. ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი საშუალებათაგანი — და არა ერთად ერთი — შეიძლება იქნეს საბჭოთა რუსეთის დანაწილება და კერძოდ, დამოუკიდებელი უკრაინის შექმნა.

გერმანულ წრეებში ასეთი გეგმის არსებობის შესაძლებლობა აშკარა და თვალსახილავი გახდა სუბ-კარპატული უკრაინის შექმნის შემდეგ. ხოლო რომ შესაძლებელი გახდეს, ამისათვის აუცდენელ საჭიროებას წარმოადგენს უკრაინელებით დასახლებული გალიციის და ყოფილი ვოლინის გუბერნიის პოლონეთის ტერიტორიიდან ჩამოშორება. ეს მხარე — ხუთ მილიონზე მეტი უკრაინელი და სივრცით დაახლოებით 80 ათასი კვ. კილომეტრი — თავისი სამოსაზღვრო მდგომარეობით რუსეთის წინააღმდეგ მოხერხებული მოქმედების წამოსაწყებად ბუნებრივი პუნქტია. ბუკოვინა, ე.ი. რუმინიაში მოყოლილი უკრაინის ნაწილი, ამ მხრივ უფრო ნაკლებ ინტერესს წარმოადგენს. გალიციის დაკარგვის შიშია იმის მიზეზი, რომ ვარშავის დიპლომატიამ ასე სწრაფად და თეატრალურად მოსკოვს გაუწოდა ხელი.

ჩვენ არ გვგონია რომ პოლონეთისა და საბჭოთა ხელისუფლების მოლაპარაკებას შეეძლოს, ან შედეგად მოჰყვეს გერმანიის აღმოსავლეთისაკენ გაქანების შეჩერება. არა ერთხელ აღგვინიშნავს რომ საბჭოთა ჯარი ყოველგვარ სამხედრო ღირებულებას მოკლებულია. ამ სისუსტის მიზეზი და წყარო საბჭოთა რეჟიმის ბუნებიდან მომდინარეობს. მაშასადამე, ვიდრე რუსეთში წესწყობილების სისტემა არ შეიცვლება, მასთან კავშირი და ამ კავშირით რაიმე რეალური ძალის შექმნა მხოლოდ ფანტაზიის ფარგლებში შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს. პოლონეთმა ეს კარგად იცის და ამიტომ ვფიქრობთ ვარშავის მიერ გადაგმული ნაბიჯი უფრო დიპლომატიური მანიოვრია, ვიდრე რეალური სამხედრო ზღუდის შექმნის სურვილი.

გერმანიამაც იცის პოლონეთის და რუსეთის შესაძლებელი კავშირის ეს სუსტი მხარე. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ამჟამად და აუცილებლად სამხედრო მოქმედების გზას დაადგება დამოუკიდებელ უკრაინის შექმნისათვის. აღმოსავლეთ ევროპაში რომ სამხედრო მოქმედება უზრუნველყოფილი იქმნეს, საჭიროა რომ გერმანიას დასავლეთის საზღვრებზე არავითარი გართულება მოელოდეს. ამისათვის, ვიდრე ის აღმოსავლეთ ევროპაში აქტიურ მოქმედებაზე გადავიდოდეს, მას სჭირია დასავლეთის ხალხთა შორის როგორიმე სახით ფაქტიურ შეთანხმებას მიაღწიოს. ხოლო ეს მიზანი ჯერ მიღწეული არ არის და გერმანიამ რომ გალიცია დაიკავოს სამხედრო ოკუპაციის წესით, თუნდაც უკრაინისაკენ გზის შოვნის მიზნით, ჩვენის აზრით ამ ჟამად ასეთ სამხედრო აქტს საერთაშორისო ომი მოჰყვება, სადაც საფრანგეთი, ინგლისი და, ალბათ ამერიკაც პოლონეთისა და რუსეთის მოკავშირე იქნებიან. ამიტომ არ არის მოსალოდნელი, რომ ასეთი ნაბიჯი ბერლინის მთავრობამ ეხლა გადასდგას. ყველა ამ მოსაზრებით, ჩვენ გვგონია, რომ ამდროულად გერმანია, ომის ნაცვლად, უფრო დიპლომატიურ და პოლიტიკურ მოქმედებას განავითარებს, მისი საბოლოო საერთაშორისო მიზნების მისაღწევად ხელსაყრელი პირობების შექმნის სურვილით.

სლავიანთა და გერმანელთა ძველის ძველი ბრძოლა და ქიშპი განახლების გზას ადგება, ახალ ფაზაში შედის და ახალ სახეს ღებულობს. გერმანიის პირველ იმპერიამ, ამ გზას თითქმის ზურგი უბრუნა და რუსეთთან შეთანხმების მიღწევა სასურველად აღიარა. ბისმარკის შეხედულებით საკმარისი იყო ბერლინსა და პეტერბურგს შორის თანხმობის არსებობა, რომ მსოფლიოს ჰეგემონია ამ ორ ქვეყანას და

ეუფლა. მაგრამ რკინის კანცლერის აზრი მესამე იმპერიის მიერ დაწუნებული და უკუგდებული მოსჩანს. თუ რა სახეს მიიღებს სლავიანთა და გერმანელთა შორის განახლებული ქიშპობა, ეს ჯერ კიდევ მომავლის საკითხია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ პრობლემის განვითარების სახე ბევრნაირად არის დამოკიდებული ოთხთა შეთანხმების პროექტის განაღდებისა თუ დამარცხებისაგან.

ის გარემოება რომ დღეს გერმანია ომს ვერ ან არ დაიწყებს უკრაინის საკითხის გამო, საკმარისი არ არის რომ პოლონეთმა ყოველგვარი საფრთხე აცდენილად იგულისხმოს. მას სჭირია ყოველგვარი ზრუნვა მომავალი და თითქმის აუცდენელი საფრთხისაგან თავის არსებობის უზრუნველსაყოფად. ამიტომ რაც დრო გავა პოლონეთი უფრო იძულებული გახდება რუსეთის მთავრობასთან მჭიდრო კავშირი იქონიოს, რადგან სუსტი მოკავშირის ყოლაც უკეთესია, ვინემ ძლიერ მეზობელთან ბრძოლაში მარტო დარჩენა.

უკრაინის საკითხის გადასაჭრელად შეიძლება წარმოვიდგინოთ კიდევ ერთი გამოსავალი, რომელიც აზროვნობით ყველაზე უფრო გონივრულია, მაგრამ პოლიტიკურად პოლონეთისათვის ცოტა მძიმედ დასათმობი. მაგალითად, შეიძლება ინგლის - საფრანგეთის თანაგრძნობით, გერმანია და პოლონეთი შეთანხმდნენ ანტიკომუნისტური მოქმედებისათვის და ამ შეთანხმებას მიეცეს ისეთი სახე, რომ პოლიტიკურად პოლონეთი უზრუნველყოფილი იქმნეს, ხოლო გერმანიამ მისი ეკონომიური მიზნები გაინაღდოს.

ამ შემთხვევაში შეიძლება პოლონეთს დასჭირდეს მცირე ტერიტორიალური მსხვერპლის გაღება, მაგრამ სამაგიეროთ შეიძლება მას მეზობლად ბოლშევიზმისაგან განთავისუფლებული რუსეთი ან პოლიტიკურად დამოუკიდებელი უკრაინა ეყოლოს, რაც მისი სახელმწიფოებრივი თავდაცვისათვის მომავალში ერთობ დიდი მნიშვნელობის ფაქტორი იქნება. მას შემდეგ რაც ვარშავის დიპლომატიამ ჩეხოსლოვაკიის დასუსტებას ხელი შეუწყო და ამ საკითხში გერმანიის მხარე დაიჭირა, ლოგიკური იქნება რომ პოლონეთის მთავრობამ უკრაინის საკითხში დასთმოს ის, რაც ბუნებრივი შედეგია მისი მონაწილეობით და დასტურით შექმნილი მიზეზისა. ხოლო თუ ბოლშევიზმის ან უკრაინის საკითხი გერმანია და პოლონეთის შეთანხმებით გადაწყდა, ეს დიდ სარგებლობას მოუტანს ევროპიულ ცივილიზაციას და ჩვენი ტანჯული სამშობლოც მისი შელახული უფლების აღდგენას შესძლებს.

პროფ. მიხეილ წერეთლის იუბილე

„ახალი ივერიას“ რედაქცია მხურვალედ ესალმება მცხოვან იუბილიარს, საქართველოს თავისუფლებისათვის უდრეკ მებრძოლს პატივცემულ ბ-ნ მიხეილ წერეთელს და წრფელი გულით უსურვებს მას დღეგრძელობასა და ქართველი ერის დიდების სადარაჯოზე, მომავალშიაც ძველებურ სიმხნევეს.

რედ.

23 დეკემბერს 1938 წ. ბ-ნ მიხეილ წერეთელს შეუსრულდა 60

წელი, რაც, ბუნებრივად, გვიხმობს შევჩერდეთ მის პიროვნებაზედ. იუბილიარს მრავალმხრივი მოღვაწეობა ამკობს: მეცნიერული და პოლიტიკური. მეცნიერებაში იუბილიარი ფილოლოგია და უფრო ასირიოლოგი. შესამჩნევია მისი გამოკვლევა ურარტულისა და სუმერულისა, რომლის ნათესაობა ქართულთან მან უკეთესად დაასაბუთა ვიდრე სხვებმა. მისგან მოველით ამ საგანზე კიდევ უფრო ვრცელსა და გადამწყვეტ ნაწარმოებს, რომელიც მას ჯერ დამთავრებული არა, მაგრამ ჩამოყალიბებული აქვს შავად. საგულისხმოა აგრეთვე მისი ხელნაწერად დამთავრებული ნაშრომი „ვეფხის ტყაოსანზე", რომლის შესახებ ჩვენს ლიტერატურაში, ჯერ-ჯერობით, საუკეთესო ნარკვევია პ. ინგოროყვას შრომა, როგორც პრობლემატიკისა, ისე შედეგების მხრივ. მეორე ნაშრომია ზ. ავალიშვილისა, რომელიც სასურველად ავსებს შ. რუსთველის გარშემო მასალას ევროპის ლიტერატურიდან, მაგრამ შეიცავს მეტად უხეშ და მძიმე შეცდომათ, რომელნიც ავტორს მეტად აშორებს შოთას გაგებას როგორც მგოსნისა და პოეტის უსრულეს იდეალებს. ეს შეცდომანი რაც მალე გასწორდება მით უკეთესი იქნება ავტორისათვის. „ვეფხის ტყაოსანზე" აქვს ახალი ნაშრომი მ. წერეთელსაც და ჩვენ მოველით მისგან ამ დარგშიც რაიმე ახალს.

კიდევ უფრო შინაარსიანია პოლიტიკური მხარე იუბილიარის მოღვაწეობისა. პირველი რევოლუციიდან მოყოლებული ის ენერგიული მებრძოლია ეროვნული აზრისათვის, სხვა და სხვა საშუალებებით, მაგრამ მუდამ ერთი მიზნისაკენ იყო მიმართული მისი მოღვაწეობა: ეროვნული განთავისუფლებისაკენ. იუბილიარი ეკუთვნოდა იმ ქართველ ემიგრანტთა ჯგუფს, რომელიც დროგამოშვებით შეიცავდა ვარლამ ჩერქეზიშვილს, გ. დეკანოზიშვილს, პეტრე სურგულაძეს და სხვ. მებრძოლთ. მთავარი დედა-აზრი ამათი პოლიტიკური გეზისა არის საქართველოს პოლიტიკური განთავისუფლება ევროპიულ ძალებზე დაყრდნობით. ჩვენ განსაკუთრებით ამ მთავარ თვისებას გაუსვამთ დღეს ხაზს. ეს აზრია ძირითადი ტრადიცია ქართული პოლიტიკის განსაკუთრებით თეიმურაზ პირველის დროიდან. თუ რამდენად ძლიერი იყო ეს აზრი მეფობის დროსაც, ამის საუკეთესო საბუთია შემდეგი ფაქტი: 1783 წელს, ტრაქტატის რატიფიკაციის შემდეგ პოტიომკინი ესტუმრა მეფე ერეკლეს. მან ცოტა ხნის შემდეგ მეფეს უთხრა: ქართლი გადაეცით ცარს, დაიტოვეთ კახეთი და ფულად მოგეცემათ იმდენი, რაც აქამდე ქართლიდან შემოგდიოდათო. მეფემ დიდად შეწუხებულმა განირიდა დიდი ხელმწიფის რწმუნებული და განუტევა უპასუხოდ. მეფეს შემდეგ რამდენიმეჯერ ჰქონდა შემთხვევა ტრაქტატი გაეუქმებინა, მაგრამ არა ჰქნა, რადგან მესამე ძალის, ევროპიულ ქრისტიანულ კულტურის ძალის დაკავშირება, აზიურ საფრთხეთა გამო, აუცილებლად მიაჩნდა. ეს ტრადიცია ჩვენი მეფეთა პოლიტიკისა, განვაგრძეთ ქართველმა ნაციონალისტებმა წარსულის შეცდომათა გამოსწორებით. ჩვენი მიმართულების მიზანი იყო უშუალო, პირდაპირი კავშირი ევროპასთან, მის ძალასთან და მის კულტურასთან. ამ მიზნით ბრძოლაში ერთად მოვხვდით ჩვენი მიმართულება და იუბილიარი, რომელიც ჩვენი იდეური და პოლიტიკური მეგობარი იყო და არის დღესაც. ჩვენ გვაერთებს მასთან ურყევი რწმენა იდეისა და პოლიტიკური მიზნების იგივეობა.

იუბილიარი ქართველია არა მარტო სიტყვით, არამედ აზროვნე-

ბით, განცდით, რწმენით, გრძნობით — მთელი არსებით. იუბილიარი ოფიციალურად სხვა დაჯგუფებას ეკუთვნის, მაგრამ იდეურად და პოლიტიკურად ის ქართველობის იდეისაა, ე.ი. ეკუთვნის მთელ საქართველოს. ეს ჩვენც გვავალებს, იუბილიარს გულწრფელ მეგობრობით მივესალმოთ. უსურვებთ მას დღეგრძელობას და ჯანმრთელობას და ძველებურ აქტივობას საქართველოს განთავისუფლების საქმეში, რომ ის თავისუფალ სამშობლოში მონაწილე გამხდარიყოს ერის ბედნიერების.

ტ. მარგველაშვილი

ეროვნული მოქმედება

წინა ნომერში*) ჩვენ გავარკვიეთ ქართული ემიგრაციის ეროვნული ხასიათი და მისი დანიშნულება. მას შემდეგ ბევრ მოვლენას ჰქონდა ადგილი როგორც საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე, ისე ქართული ემიგრაციის საშნაო ცხოვრებაში. ამ მოვლენებთან დაკავშირებით ჩვენ დღეს განზრახვა გვაქვს განვიხილოთ თუ როგორი უნდა იყოს, ჩვენის შეხედულებით, ემიგრაციის ეროვნული მოქმედება.

ქართველი ემიგრაცია მოწყვეტილია საქართველოს მიწა-წყალს და სამშობლოს პოლიტიკურ სინამდვილეს. მიუხედავად ამისა ის განაგრძობს სამშობლოს განთავისუფლებისათვის მოქმედებას. საქართველოს განთავისუფლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ორ შემთხვევაში: პირველი შემთხვევა — შესაძლებელია რომ რუსეთში ბოლშევიკური ხელისუფლება დაიმსხვრეს, როგორც შედეგი შინაურ ძალთა ბრძოლისა საბჭოთა მფლობელობის წინააღმდეგ და ამას მოჰყვეს საბჭოთა კავშირის შემადგენელ ეროვნებათა სახელმწიფოებად დაყოფა. ამ შემთხვევაში შეიძლება საქართველომაც, სხვებთან ერთად, დამოუკიდებლობა მიიღოს. ეს მოვლენა, თუ მას ადგილი ექმნა, მოითხოვს როგორც გარდაუვალ პირობას, რომ გეგმის შემსრულებელი პირნი თითონ რუსეთში იმყოფებოდნენ და მათი მოქმედება განავითარონ საბჭოთა პოლიტიკურ წრეებში, რათა შესაძლებელი გახდეს ამ წრეებში არსებულ პოლიტიკურ ინტერესთა წინააღმდეგობების გამოყენება მთელ რუსეთის სივრცეზე. ასეთ მოქმედებას რომ გამარჯვების შანსი ჰქონდეს, მას სათავეში უნდა ედგეს თვით ველიკოროსების და უკრაინელების წარმომადგენლობა. ხოლო ეროვნული, ადგილობრივი ხასიათის აჯანყებით, ჩვენი სამშობლო რუსეთიდან თავს ვერ გაინთავისუფლებს და ამიტომ აჯანყების მოწყობა საქართველოში, ეროვნული თვალსაზრისით, აშკარად მავნებელი და კატეგორიულად უარსაყოფი საშუალებაა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მიუხედავად არსებობის ჯოჯოხეთური პირობებისა, ქართველ ერს აღმოაჩნდება საკმაო სულიერი სიდინჯე და სიბრძნე, უცადოს თვით რუსეთში ძალთა

*) მეთაური და ეს წერილი უკვე აწყობილი გვქონდა გასული წლის დეკემბერში, და მაშასადამე, შემდეგ მომხდარ მოვლენებს აღარ ეხება. **რედ.**

შინაურ განვითარების ერთმანეთთან დაჯახებას და თავიდან აიცდინოს ბუმბერაზ მტერთან უთანასწორო და თავგანწირულ ბრძოლაში ჩაბმა. რაც შეეხება ამ საკითხისადმი ეროვნული ემიგრაციის დამოკიდებულებას, ჩვენ არა გვგონია, რომ რომელიმე ჭკუათმყოფელი ადამიანი დასაშვებად სცნობდეს საქართველოში აჯანყების მოწყობის შესაძლებლობას. ამ რიგად, რუსეთის შინაური ძალთა განვითარების შედეგად ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების საკითხში, ეროვნული ემიგრაციის როლი, ჩვენის შეხედულებით, უმნიშვნელოა.

მეორე შემთხვევა: დასაშვებია და მოსალოდნელი, რომ ახლო მომავალში, ახალი ომი გაჩაღდეს და ამ ომში რუსეთი იქნეს მონაწილეთ ჩარეული. ამ შემთხვევაში შეიძლება, როგორც ეს 1918 წ. მოხდა, საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინოს. მაგრამ ისიც შეიძლება, რომ განთავისუფლბის ნაცვლად, ის რუსეთის ფარგლებში იქმნეს დატოვებული, ან კიდევ სხვა რომელიმე სახელმწიფომ დაიუფლოს.

ისტორიულად ბედ-ილბლის მიერ განებივრებულები არა ვართ, და ამიტომ მოვალეობა გვაწევს აღვნიშნოთ, რომ შესაძლებელია ისიც რომ საქართველო ჩავარდეს უარეს ყოფაში ვინემ ეხლა ვართ და დღევანდელი პოლიტიკური სტატუტი ერს სანატრელიც გაუხდეს. ხშირად გვსმენია, ერი პლუტონის სატრაპიაში იმყოფება და ამაზე უარესი ყოფა ვერ იქმნებაო. ამ საკითხზე საჯაროდ კამათი პოლიტიკური შეცდომა იქნება და ამიტომ მას აქ არ შევეხებით. მაგრამ ვისაც უარესზე უარესის წარმოდგენა არ შეუძლია, მოვაგონებთ დანტეს უკვდავ „ღვთაებრივ კომედიაში“ აღწერილი ჯოჯოხეთში მოგზაურობას; ან კიდევ, თვალი გადაავლოს უკანასკნელი შვიდი საუკუნის საქართველოს წამებით სავსე ისტორიის ფურცლებს...

ომის შედეგათ დამოუკიდებლობის მიღების შემთხვევისათვის, ქართულ ეროვნულ ემიგრაციას შეუძლია ნაყოფიერად იმუშავოს და მოვალეობაც აწევს, რომ ეს საკითხი მისი მოქმედების და მზრუნველობის ყოველდღიური საგანი იყოს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ქართული ეროვნული ემიგრაციის მოქმედების ნიადაგი და ფარგლები — ეს საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზია. აქ მას ვალად ადევს სწორი აღლო აუღოს ევროპის და აზიის სახელმწიფოთა პოლიტიკურ თუ ეკონომიურ ინტერესთა განვითარბას ჩვენი ქვეყნის მახლობელ არე-მარეში. უპირველეს ყოვლისა მას მართებს სწორად ესმოდეს, თუ რა პოლიტიკურ წონას აძლევს, სათითაოდ, მისი საკუთარი პოლიტიკისათვის, ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხს, ევროპის ხუთი უმთავრესი სახელმწიფოს მმართველ წრეთა ხელმძღვანელობა. მას მართებს აგრეთვე შეუცდენლად დააფასოს და გაარკვიოს ის მორალური თუ მატერიალური ინტერესთა ხლართი, რაც სულს უდგავს და მიმართულებას აძლევს ერთა ურთიერთობას და მათ შორის ძალთა ახალ გადაჯგუფებას. ამ საკითხების სრული ცოდნა და სწორი გაგება ქართულ ეროვნულ მოქმედებას ერის ინტერესებთან მიზანშეწონილ მიმართულებას მისცემს. ამ საკითხების განხილვა გაზეთის ფურცლებზე ჩვენ უადგილოდ მიგვაჩნია. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, თუ გარეგნულად რა მდგომარეობაა ჩვენი მოქმედების ნიადაგის გარემოცვაში.

მრავალ საუკუნეთა მანძილზე საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი ღერძი ინგლის - საფრანგეთის ქიშპობა იყო. ამის გარშემო იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნებოდა ხალხთა ძალების დარაზმულობა; ამის შედეგად ჩნდებოდა, ან ისპობოდა ამა თუ იმ პატარა ერის დამოუკიდებელი არსებობა. ფრანკფურტის ზავის შემდეგ (1871), გერმანიის სამხედრო ძლიერებამ ინგლისს და საფრანგეთს უკარნახა მათი მტრობის დავიწყება და ამის შედეგად, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი ღერძი და საერთაშორისო ძალთა დაჯგუფების მთავარი ფაქტორი გერმანია და საფრანგეთის ქიშპობა გახდა. ვერსალის ზავმა დაგვიხატა ამ ქიშპობის შედეგების ცხადი სურათი. დღეს შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი ღერძი ბერლინ-რომის და პარიზ-ლონდონის ხაზების პარალელური არსებობაა. ამ ხაზების მთავარი მომქმედი პირნი ინგლისი და გერმანიაა. ეჭვს გარეშეა: არის ცდა ამ ხაზების შეხედულებათა ერთმანეთთან დახლოებისა, რათა აცდენილ ან დაგვიანებულ იქმნას დასავლეთის ხალხთა შორის ახალი ომის შესაძლებლობა. მათ შორის შეთანხმებას, დასავლეთის კულტურის ხალხთა საერთო ინტერესიც მოითხოვს. მართლაც, ბოლშევიზმი, ნელის ნაბიჯით, მაგრამ მტკიცედ, საფლავს უთხრის ევროპიულ ცივილიზაციას და მეორეს მხრივ, შორიდან მოსჩანს რასათა თუ კონტინენტთა შორის სამკვდრო - სასიცოცხლო ომიანობა. ამ სფრთხეთა ასაცილებლად ევროპის ხელმძღვანელ ერებს პირველ ყოვლისა სჭირიათ მათი საერთაშორისო ინტერესების ერთმანეთთან შეგუება და მოქმედების გეგმების შეფარდება. მიუნხენის თათბირი ამ შეთანხმების საჭიროების პირველი გამჟღავნებაა. ამ თათბირმა, შეთანხმების იმედებიც საკმაოდ გაზარდა. მას შემდეგ, გერმანიის საელჩოს მდივანი ფონ რატის მკვლელობამ და ამის საპასუხოდ გერმანიაში მიღებულ ანტისემიტურმა ზომებმა ერთის მხრივ, და ბერლინ-რომის მიერ კოლონიალური მოთხოვნილების მკაფიოდ დაყენებამ მეორეს მხრივ, ისეთი სახის რეაქცია გამოიწვიეს ინგლის-საფრანგეთის მმართველ წრეებში, რომ ერთის შეხედვით, დასავლეთის კულტურის ხალხთა შეთანხმების იმედი ერთობ შესუსტდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მიზეზებს ამა თუ იმ სახით მოევლება და ორ ხაზთა შორის თანამშრომლობა შესაძლებელი გახდება: როგორც წარსულში გერმანიის შიშმა ინგლის-საფრანგეთის ქიშპობა მოსპო, ისე მომავალში, ბოლშევიზმის ან აზიის შიში, დასავლეთის ხელმძღვანელ ერთა შორის უთანხმოებასაც ალბათ მოსპობს. მაგრამ, როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს ცდა, მორიგებით თუ მომავალში მათ შორის ახალი ომით, ამ ორი ხაზის ქიშპობას მსოფლიო ინტერესების ახალი განაწილება აუცდენელად მოჰყვება. ქართულ ეროვნულ ემგრაციას ვალად მართებს ამ ხაზების პოლიტიკათა განვითარებაში სწორის სიცხადით დაინახოს საქართველოს პოლიტიკური ინტერესი, რათა შეძლების მიხედვით დაცულ იქმნას საქართველოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

ამ მიზნის მისაღწევად ქართული ეროვნული მოქმედება უნდა განვითარდეს, ერთი ეროვნული ხელმძღვანელობის ქვეშ, ყველა იმ მთავარ სახელმწიფოებში, რომელნიც დასავლეთის ბედს განაგებენ და ოთხთა შეთანხმების შესაძლებლობაზე ფიქრობენ. ასეთი მუშაობის განვითარება ჩვენს ემიგრაციას მით უმეტეს შეუძლია, რომ დასავლეთის ხალხთა შეთანხმების შესაძლებლობას ერთ-ერთ საფუძვლად უდევს ბოლშევიზმისა და რუსეთის მიერ დაპყრობილი ერებისადმი

განწყობილების გამორკვევა და ჩვენ კი, ქართველები, უშუალო განცდით და გამოცდილებით ამ საკითხს კარგად ვიცნობთ.

საჭიროა რომ ქართული **ეროვნული** მოქმედება სწარმოებდეს, მაშასადამე, ორივე ხაზის ურთიერთ შორის დამოკიდებულებათა განვითარების კალთაზე. ასეთ მუშაობას ვერ შესძლებს ისეთი ხელმძღვანელობა, ვინც რომელიმე პოლიტიკურ დოქტრინასთან გადაბმულია. მხოლოდ ისეთ დაჯგუფებას შეუძლია ორივე ხაზის წინაშე ეროვნული მოქმედების განვითარება, რომლის ერთად ერთი დოქტრინა —ეს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენაა. პოლიტიკური რეჟიმის, ანუ სოციალური წესწყობილების საკითხები — ერის ტემპერამენტის და მისი სოციალ-ეკონომიური განვითარების დონეს საკითხებია და ყოველი ჯგუფის ხელისუფლება, პიროვნული იქნება ის, თუ ხალხოსნური, ადვილად გაუკეთებს აბსტრაქციას ეროვნული ემიგრაციის ხელმძღვანელობის პოლიტიკურ უპროგრამობას. ხოლო, თუ ეს ხელმძღვანელობა გარკვეულ პოლიტიკურ დოქტრინას ემორჩილება, ერთ-ერთი ხაზის დარაზმულობა, ეჭვს გარეშეა, მას ნდობით ვერ მოექცევა. ამრიგად, ემიგრაციის ეროვნული მოქმედება რომ ნორმალურად სწარმოებდეს, საჭიროა შეიქმნას ერთი ეროვნული ხელმძღვანელობა. მაგრამ ასეთი ხელმძღვანელობის დაარსება უნიადაგო, უდღეური და უნაყოფო გამოდგება, თუ ის ემიგრაციის სწორ სულისკვეთებას არ გამოხატავს. უცხოეთში მყოფი ქართველი პოლიტიკური ხელმძღვანელები ოციდან ორმოცდა ათამდე წელიწადია რაც შეჩვეულნი არიან პარტიულ ჩარჩოში ყოფნას და სახელმწიფო საკითხების პარტიული თვალთახედვით დაფასებას. ამ ჩვეულებისაგან რომ ადამიანი განთავისუფლდეს, საჭიროა მასში კარდინალური ფსიქოლოგიური გარდატეხა მოხდეს. ასეთ გარდატეხას სჭირია ერთი მაგარი სულიერი ჯანი. ამ მიზნის მისაღწევად ემიგრაციას მხოლოდ ერთად ერთი საშუალება აქვს: ყველა პარტიულ ორგანიზაციამ უცხოეთში დადგენილება მიიღოს, რომ ერის უზენაესი ინტერესების სამსახურის მიზნით, ორგანიზაციების წევრები პარტიებიდან გამოდიან და ამ ორგანიზაციებს დაშლილად აცხადებენ. ასეთი დადგენილების მიღების წუთიდან ყოველი ქართველი ემიგრანტი პარტიული ჰიპოტეკიდან თავს თავისუფლად იგრძნობს და მისი ეროვნულ მოქმედების საზომის ბუნება და ხასიათიც გამოიცვლება. გარდა ამისა, პარტიული ორგანიზაციების დაშლა და ერთი ეროვნული ხელმძღვანელობის შექმნა სავალდებულოა კიდევ სხვა მოსაზრებით. საკითხის გასაშუქებლად, ჩვენ იძულებული ვართ, ერთი მოსაგონებლად არა სასიამოვნო ჭეშმარიტება აღვნიშნოთ. ემიგრაციაში ეროვნული პოლიტიკის პარტიული საზომით წარმოებამ და განსაკუთრებით მენშევიკების მიერ ხელმძღვანელობის შენარჩუნების სურვილმა შედეგად მოიტანა ეროვნული ძალების გაფანტვა და ნიადაგი მოუმზადა მრავალი მცირე და ზოგჯერ მავნე ორგანიზაციების შექმნას. მაგალითად, მენშევიკების სულისკვეთება რომ პარტიული არ ყოფილიყო და ქართული საქმე ეროვნულ ხელმძღვანელობას ჰქონოდა ხელში, აქ შეუძლებელი გახდებოდა ისეთი დაჯგუფების აღმოცენება, როგორიც არის „კავკაზის“ ჯგუფი, რამაც უკვე დიდი ზიანი მოუტანა ქართულ საქმეს და მის სახელს. თუ მომავალში პარტიული ორგანიზაციების სახე შენახულ იქმნა, მენშევიკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი პარტია იქნება ის თუ ეროვნულ-დემოკრატიული, რა უფლებით და მოსაზრებით შეუძლია ერთ რომელიმე ჯგუფის ხელმძღვანელობას ეროვნული საქმის მონოპოლია გამოაცხადოს? უცხო პოლიტიკური პიროვნების თვალში ეროვნულ დემოკრატი, სოციალ დემოკრატი, სოციალ ფედერალისტი, თეთრ გიორგელი თუ „კავკაზის" ჯგუფის ქართველი, ყველა ერთი წონის ქართველია, ქართველი ერის მცირე ნაწილის მისწრაფების გამომხატველი. ამათდამი დამოკიდებულებას უცხოელი მხოლოდ დოქტრინალური სიმპატიით გაშინჯავს. მაშინ როდესაც, თუ პარტიული ორგანიზაციები დაშლილად გამოცხადდა და ემიგრაცია მხოლოდ ეროვნული შემეცნების გრძნობით განიმსჭვალა, მის მიერ შექმნილ ხელმძღვანელობას ექნება საკმაო სულიერი ძალა და ავტორიტეტი, რომ ეროვნული საქმის ხელმძღვანელობის უპირატესობა მის ბუნებრივ ფუნქციათ გამოაცხადოს და დაისაკუთროს.

ამ მხრივ დროული და მეტად საგულისხმო მოვლენა იყო ბ-ნ სპირიდონ კედიას მოხსენება: „ჩვენი მოვალეობა".

ეს მოხსენება წაკითხულ იქმნა ემიგრაციის პასუხისმგებელ წევრთა დახურულ კრებაზედ. გამართულმა მსჯელობამ გამოარკვია რომ თითქმის ყოველ დაჯგუფებაში გრძნობენ ერთი ეროვნული ხელმძღვანელობის შექმნის საჭიროებას. მაგრამ პარტიული ატავიზმი, ეტყობა, ჯერ კიდევ ერთობ მძლავრია. მაგრამ გარდა პარტიული ატავიზმისა არსებული წესის შეცვლას სხვა, უფრო უშუალო მატერიალური ინტერესებიც უშლის ხელს. არავისათვის არის საიდუმლო, რომ ეგრედ წოდებული „ეროვნული ცენტრის" წევრები მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან სწორედ ამ „ცენტრის" წევრობისათვის, და ამ თავის მდგომარეობის დაცვის მიზნით, რადიკალური გადახალისების იდეას, პარტიულობის დაშლას მძაფრ წინააღმდეგობას უწევენ. ჩვენის აზრით ეს შიში უადგილოა, რადგან ბ-ნ სპირიდონ კედიას მიზანი ეროვნული საქმის სწორ გზაზე დაყენებაა, და არა ვინმეს დამშევა და უსახსროდ დატოვება. შეიძლება მათი მდგომარეობა გაუმჯობესდეს კიდეც, თუ ემიგრაციის ყველა ძალები შეერთებული ენერგიით შეუდგნენ ეროვნული საქმის კეთებას. საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე, რომ თუ ეროვნული ენერგიის შეკუმშვა მოხდა, ახალი ეროვნული ხელმძღვანელობის შექმნაში კარები ღია უნდა იქნეს ყველა ქართველი პატრიოტისათვის, მიუხედავად ყოველი სახის პოლემიკისა, რომელსაც დღემდე ჰქონია ადგილი.

ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ბევრი მაგალითი მოიპოვება ჩვენი თეზის საჭიროების და მოვალეობის გასაშუქებლად. პარტიულობის პოლიტიკამ იტალია ბოლშევიზმის კარებამდე მიიყვანა და ფაშისტურ ერთპარტიული სისტემა რომ არ დამყარებულიყო იქ დღეს, ალბათ, საბჭოთა ხელისუფლება იქმნებოდა დამკვიდრებული. იმავე პარტიულობის პოლიტიკამ პოლონეთი პოლიტიკურ საფრთხეში ჩააყენა და ძველმა რევოლუციონერმა და სოციალისტმა პილსუდსკიმ პარტიობა თითქმის მოსპო და ფაქტიურად ერთპარტიული ხელისუფლება დაამყარა. დემოკრატიზმის ბუდე ინგლისში, პარტიულობის პოლიტიკამ ეს ბუმბერაზი სახელმწიფო იმპერია კატასტროფის კარამდე მიიყვანა და მეორე ინტერნაციონალის ერთი მთავარი ლიდერი რამზეი მაკდონალდი, იძულებული გახდა, რა წამს ეროვნულ

საჭიროებამ ეს მოითხოვა, პარტიული შემადგენლობის მთავრობის ნაცვლად, ეროვნული შემადგენლობის ხელისუფლება დაემკვიდრებინა, რომელიც უკვე შვიდი წელიწადია დიდი ბრიტანეთის იმპერიას განაგებს. ყველამ იცის რომ სოციალური დემოკრატიზმის მთავარი ბუდე გერმანიაა. აქაც პარტიულობის პოლიტიკამ ერი ისე დააძაბუნა, რომ მან თავისი ხსნა და ბედი ნაციონალ სოციალისტურ ხელისუფლებას ჩააბარა: ვინც ლოიალურია თავის სინიდისთან, ის ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ჰიტლერის ხელისუფლება გერმანიაში კანონიერის ე.ი. კონსტიტუციონალური გზით დამყარდა. ხოლო ხელისუფლების აღების შემდეგ, ბუნებრივია, ჰიტლერმა მისი შეხედულება ცხოვრებაში გაატარა და ეს შეხედულება ჰგულისხმობდა სწორედ, უპირველეს ყოვლისა პარტიულობის მოსპობას, როგორც ერისათვის უუსაჭიროეს მოვლენას. დასასრულ ერთი უკანასკნელი მაგალითიც. ვინც კარგად იცნობს ჩეხოსლოვაკიაში მომხდარ ამბებს და დოქტრინალური სიბრმავის სენით არ არის შეპყრობილი, ის ალბად გარკვეულია, რომ ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს დანაწილების მთავარი მიზეზი არის პრაგის მთავრობის მიერ დოქტრინალური პოლიტიკის წარმოება. უამისოდ დღის ჩეხოსლოვაკიას ვერსალის საზღვრები კიდევ ექნებოდა შენარჩუნებული. თუ კი ჩეხოსლოვაკია გადარჩა დღევანდელი სახით და მომავალში მისი არსებობა უზრუნველყოფილია, ესეც იმის წყალობით, რომ ერის პასუხისმგებელ ხელმძღვანელობამ, როცა ის ეროვნული საჭიროების წინ დადგა, პარტიულ დოქტრინალურ საფუძველზე აგებულ ხელისუფლებას ზურგი აქცია და ეროვნულ საჭიროებათა შეფარდების გზას დაადგა. ამით აიხსნება, უპირველეს ყოვლისა ბენეშის პრეზიდენტობიდან გადადგომა. ჩეხიის დრამის პირველი აქტი მხოლოდ 10 სექტემბერს დასრულდა და უკვე 27 ოქტომბერს ჩეხიის სოციალ დემოკრატიულმა პარტიამ თავისი თავი დაშლილად გამოაცხადა, ხოლო მემარჯვენე პარტიებმა გადაწყვეტილება მიიღეს თავიანთი ორგანიზაციები დაეშალათ და **ერთი ეროვნული** ორგანიზაცია შეექმნათ. 17 ნოემბერს კი, ე.ი. სუდეტების ჩამოშორებიდან ხუთი კვირის შემდეგ, ერთი ეროვნული მთლიანობის პარტია უკვე დეკლარაციით გამოვიდა, სადაც განცხადებულია, რომ მომავალში მთავრობა უნდა იქნეს ეროვნული, ე.ი. არა პარტიულ ნიადაგზე შედგენილი და რომ ამიერიდან, საარჩევნო კანონით აღკრძალული იქნება ახალი პარტიის დაარსება.

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპის ყველა ქვეყნებში, როცა ეროვნულმა საჭიროებამ მოითხოვა, გარემოებასთან შეფარდებით, პარტიულ ხელისუფლებამ ეროვნულ ხელისუფლებას დაუთმო მისი ადგილი. ჩვენ კი ვართ გაყინული ერთ წერტილზე ჩვიდმეტი წელიწადია, თითქოს როგორც 1919—20 წლებში, დამოუკიდებლობის ფუფუნებაში ვეძლეოდეთ ნეტარებას. სინამდვილე კი აი რას გვეუბნება: ყველა ზემოდ ჩამოთვლილ ქვეყნებში ერი საფრთხის კარებამდე მივიდა და მხოლოდ ეროვნული გზის აღებით აიცდინა განსაცდელი, მაშინ როდესაც ჩვენი ქვეყანა დიდი ხანია კატასტროფის მსხვერპლი გახდა, და მიუხედავად ამისა ეროვნულ გზას ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავადექით.

როგორც ზემოდ ვსთქვით, ჩვენს ეროვნულ საჭიროებას რომ ემი გრაციის მოქმედება შეუფარდოთ, საჭიროა ერთი დიდი ფსიქოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიური შოკი და პარტიულობის მოსპობის ნიადაგზე, ერთი ეროვნული ხელმძღვანელობის შექმნა. ბევრი ქართველი, პარტიის ჩარჩოში თავის თავს შინაურად, მყუდროდ და უზრუნველყოფილად გრძნობს, და ესეც ხელს უშლის პარტიულობის მოსპობას. სულ 500 ან 600 ქართველია ევროპაში გაფანტული, და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ არავისი მატერიალური მდგომარეობის შეცვლის საკითხი არა სდგას, ქართველთა შორის აქ გამყოფი ინტერესი არ არსებობს, ხოლო ყველას აქვს ერთი და საერთო დანიშნულება: საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ზრუნვა. ნუ თუ ვინმე იტყვის, რომ ერთი გრძნობით შეპყრობილი 600 ქართველის ენერგია საჭიროზე მეტი ძალაა ქართული საქმის ხეირიანად სამსახურისათვის? ნუ თუ 600 ქართველს სამშობლოს მარადიულობის იდეის გარშემო არ შეუძლია თავისი თავი წარმოიდგინოს ერთი ორგანიზაციის წევრად და იქ მყუდროებისა და შინაურობის გრძნობა განიცადოს? ვინც ამას ვერ წარმოიდგენს და ვერ განიცდის, მასში ქართველობის გრძნობა ჯერ კიდევ საკმაოდ განვითარებული არა ყოფილა და ასეთ ქართველს საქართველოს სასარგებლო საქმის გაკეთებაც გაუჭირდება.

ჩვენ ზემოდ დავინახეთ, რომ ევროპის სახელმწიფოებში, პარტიულობით გამოწვეული უბედურება, ყველგან ეროვნული პრინციპის ხელმძღვანელობით გამოასწორეს. ყოველ ქვეყანაში ამ ხელმძღვანელობის დამყარების ფორმა და მეთოდი სხვა და სხვა იყო და ყველაფერ შესაბამებული ეროვნულ საჭიროებას და გარემოებათა მოთხოვნილებებს. ჩვენი ემიგრაციის მოქმედებაც გარემოებას უნდა შეუფარდდეს. ხოლო ქართული ეროვნული საჭიროება და მისი მოქმედების ფარგლები ისეთია, რომ ეროვნული მოქმედება სრულ ნაყოფს ვერ გამოიღებს ვიდრე ემიგრაციაში პარტიულობა არ მოისპობა და ერთი ეროვნული ხელმძღვანელობა არ დამყარდება. დროა ეს ჭეშმარიტება გულწრფელი ფიქრის და სინდისიერი განსჯის საგანი გახდეს ყოველი პასუხისმგებელი ქართველისათვის.

ალდანი

საქართველოს პასუხი გაუიდულ ქართველებს

ბამატის იანიჩრები არა სცხრებიან. მათი ჟურნალის ყოველ ნომერში, მეთოდიურად, წლიდან წლამდე, განუწყვეტლივ სწარმოებს პროპაგანდა, რომ ბოლშევიკების მიერ „ყარსის ხელშეკრულებით, საქართველოს დაუკითხავად გაბოძებული ქართული მიწა-წყალი, მესხეთი, ოსმალეთს ეკუთვნის; რომ ჩვენ, ქართველებს არ შეიძლება ამ ქართულ მხარეზე რაიმე პრეტენზიები გვქონდეს და ჩვენს წინაპართა სამკვიდრებელის, ჩვენი სისხლითა და ხორცით ძმების შემოერთებაზე ვფიქრობდეთ. რომ ეს მხარე შეიძლება მომავალში გახდეს მხოლოდ არქეოლოგიური კვლევის საგანი და არა პოლიტიკური ინტერესების სფერო. რომ საქართველო მოვალეა რეალობას ანგარიში გაუწიოს და მესხეთი ერთხელ და სამუდამოდ ოსმალეთის საკუთრებად აღიაროს და სხვ.

უკანასკნელად ამ საკითხს „იურიდიული თვალსაზრისით“ არ-ჩევს ვლ. ემუხვარი. ის გვევლინება ოსმალეთის ნამდვილ ვექილად და გვიმტკიცებს, რომ ყარსის ხელშეკრულება საქართველოსათვის უაღრესად სასარგებლო ყოფილა; თურმე ქართველებს ოსმალეთის მიერ წაგლეჯილ ქართულ მიწა-წყალზე არა ჰქონიათ არავითარი უფ-ლება **არც იურიდიულად და არც ისტორიულად;** თურმე ქართველე-ბის უვიცობითა და დემაგოგიის სიყვარულით აიხსნება ამ კუთხის, ე.ი. მესხეთის საქართველოს ნაწილად გამოცხადება. ეს მხარე მუდამ ოს-მალეთისა ყოფილა, მხოლოდ მას, ოსმალეთსა ჰქონია უფლება იური-დიულად და ისტორიულადაც ეს ტერიტორია ეჭიროს და ამიტომ მას-ვე უნდა დარჩეს სამარადისოდ, როგორც კანონიერ მფლობელს.

ასე გვარწმუნებს ემუხვარი. (იხ. ქართული „კავკასია“ №1(20) 1939.

ვნახოთ რა აზრისანი არიან ამ საკითხზე ქართველები, საქართველო. ჩვენ მოგვყავს **უცვლელად** 1918 წელს, ოსმალეთში გამგზავრებული საქართველოს დელეგაციის მიერ შედგენილი და იმავე წელს სტამ-ბოლში გამოქვეყნებული ნაშრომიდან ის ადგილი, რომელიც გაყიდულ ქართველების დღევანდელ პოზიციას შეეხება. დეე, მკითხველი თი-თონვე გახდეს მსაჯული: ვართ თუ არა მართალნი, როცა ავალიშვილ ამირეჯიბის დღევანდელ პოლიტიკას საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების ღალატს უწოდებთ?

აი საქართველოს აზრი:

„მესხეთის პროვინცია

„საქართველო — ოსმალეთს შორისი ამ სადაო მხარეების საერთა-შორისო - უფლებრივი მდგომარეობა შემდეგია:

„საქართველოს პროვინცია მესხეთი (ეს ძირეული ქვეყანა, რომ-ელიც საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ქართული კულტურის ავანგარდს წარმოადგენდა) მეჩვიდმეტე საუკუნეში ოსმალეთმა მოს-წყვიტა საქართველოს. მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ხელახლა შემოერთებული ოსმალეთისაგან (ახალციხე - ახალქალაქის მხარე — 1829 წელს, ბათომი და არტაანი — 1878 წელს), ეს მხარეები ამის შემდეგ ხელახლა შეადგენდნენ საქართველოს განუყოფელ ნაწილს, თანახმად 1783 წლის საქართველო - რუსეთის ხელშეკრულებისა, რო-მლითაც რუსეთის მმართველობა სდებდა პირობას:

«на сохраненіе цѣлости настоящихъ владѣній» Грузинскаго Цар-ства, «предполагая распространить таковое ручательство **и на такія владѣнія, кои въ теченіи времени и по обстоятельствамъ пріобрѣ-тены и прочнымъ образомъ за нимъ утверждены будутъ»** — იხ. მეორე არტიკლი; იხ. აგრეთვე მეოთხე სეპარატი არტიკლი:

«Е. И. В. обѣщаетъ въ случаѣ войны употребить всевозможное стараніе пособіемъ оружія, а въ случаѣ мира — настояніемъ **о возвращеніи земель и мѣстъ издавна къ Царству Карталинскому и Кахетинскому принадлежавшихъ, кои такъ и останутся во владѣніи Царей тамошнихъ»** — на тѣхъ-же основаніяхъ трактата.

„ახალციხე-ახალქალაქის მხარის შესახებ ეს საერთაშორისო - უფ-ლებრივი მდგომარეობა დღემდე არ შცვლილა; პირიქით, 1857 წლის პარიზის ტრაქტატი განმეორებით ადასტურებს, რომ ოსმალეთს ამ მხარეზე არავითარი უფლება არა აქვს.

„რაც შეეხება ბათომსა და არტაანს, მათთვის 1918 წლის ბრესტის საზავო ხელშეკრულება ახალ უფლებრივ მდგომარეობას ჰქმნის, მაგრამ — ჯერ ერთი: ტრაქტატის ეს მუხლი, რომელიც ეხება ბათომსა და არტაანს, **არ შეიძლება ჩაითვალოს სავალდებულოდ, რადგან რუსეთი არ იყო უფლება-მოსილი დაეთმო საქართველოს ჩიწა-წყალი, შეერთებული მასთან განსაკუთრებული პირობებით, მით უფრო რომ ვიდრე ბრესტის ხელშეკრულება დაიდებოდა — რუსეთმა ფაქტიურად დასტოვა საქართველო, გაიყვანა რა თავისი ჯარები საქართველოს საზღვრებიდან, — და ამით დაჰკარგა ყოველგვარი უფლება საქართველოზე, თანახმად იმავე საქართველო - რუსეთის საერთაშორისო-უფლებრივი ურთიერთობისა.**

„და დამოუკიდებლად ამისგან, — თითონ ბრესტის ტრაქტატის მოხსენებული პუნქტი **სრულიადაც არა სცნობს ბათომსა და არტაანს ოსმალეთის საკუთრებად, არამედ ამ მხარეს ეროვნულ-პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლებას ანიჭებს; ოსმალეთის მიერ ჯარების შემოყვანას ამ მხარეში არ შეიძლება სხვანაირი განმარტება მიეცეს, თუ არა დარღვევა ბრესტის ხელშეკრულებისა“.**

შემდეგ მოყვანილია ცნობები ამ მხარეების მოსახლეობის შესახებ და დეტალური ცხრილი, რომლის მიხედვით დოკუმენტის ავტორი დაასკვნის:

„ამრიგად, მესხეთის პროვინციაში მოსახლეობის მთავარ ელემენტს შეადგენს ქართველობა.

„ამავე დროს, — და ეს ყოვლის უწინარეს მისაღებია მხედველობაში — ქართველ ერს ამ მხარეზე წმიდა ისტორიული უფლება აქვს. ეს პროვინცია — ძირეული ქართული ქვეყანა, არის აკვანი ქართული კულტურისა, რასაც მისი ქვანიც კი ღაღადებენ, — მრავალფეროვან ქართულ კულტურის მონუმენტები“. (ხაზი ყველგან ჩვენია. რედ.)

პ. ი.

კონსტანტინეპოლი, 4—6 ივლისი, 1918 წ.

ეს არ არის დაწერილი „ბ. ჟორდანიას მიერ გაბრიყვებული“ ვინმე ემიგრანტისა. ხელნაწერის ინიციალები მოწმობს, რომ ის შეუდგენია ცნობილ ქართველ მოღვაწეს **პავლე ინგოროყვას და დაწერილია 1918 წელს.** თუ მოვიგონებთ, რომ ბ. პ. ინგოროყვა იყო წევრი პროფ. **ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით** არსებული კომისიისა, რომელმაც შეიმუშავა საზღვრების საკითხში საქართველოს პოზიცია და უცხოეთში წამოსულ დელეგაციის დაუმზადა ყველა მასალები, რომელნიც უდაოს ჰყოფდნენ ქართველი ერის უფლებას აღნიშნულ ტერიტორიაზე, ცხადი იქნება ვის ებრძვიან დღეს ემუხვარ - ამირეჯიბ-ავალიშვილები.

ეს იყო და დარჩა საქართველოს პოზიციად. ჩვენ ამ ნიადაგზე ვდგევართ. ამ ნიადაგზე სდგას მთელი საქართველო. ვინც ამ პოზიციას ებრძვის, ის ებრძვის საქართველოს, მის ეროვნულ ინტერესებს, მის სახელმწიფოებრივ არსებობას.

ფრანკოს გამარჯვება

ღენერალ ფრანკომ გაიმარჯვა. დამარცხდა სტალინი და კომინტერნი! ამ მოვლენის სიდიდე და მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია. კომინტერნი დასავლეთ ევროპიდან იდევნება. ამიერიდან ეს ქვეყნიერების ამაოხრებელი ბოროტი ძალა იძულებულია თავის ბუნაგს დაუბრუნდეს — მოსკოვში ჩაიკეტოს — ვიდრე იქვე არ ჩაჰკლავენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ესპანეთში დამარცხება კომინტერნის სამარადისოდ განადგურებას გვიახლოვებს.

საიდუმლო აღარავისთვისაა, რომ ევროპის ცივილიზაციისა, ყოველგვარი წესრიგისა და კანონიერების მტერი მოსკოვი, დიდი ხანია არც ერთ საშუალებას არ ერიდება მსოფლიოში ახალი ომის გასაჩაღებლად. მოსკოვი თავის თავსა სთვლის მოწოდებულად ქვეყნიერებაზედ იბატონოს, თუნდაც „პროლეტარიატის დიქტატურის" დროშით, ამიტომ ევროპაზე იერიშები საბჭოთა ხელისუფლების გამაგრების პირველ დღეებიდანვე დაიწყო. 1918 წ. მან შეუტია ლიტვა - ლატვიას. ამავე დროს სცადა ფინლანდიაში გადატრიალების მოწყობა — მოსკოვის რჩეული მეთოდია: სადაც ომი ვერა ხერხდება, მოსყიდული ხალხით შიგნიდან აფეთქება. — 1919 წ. არეულობა ბავარიაში და უნგრეთში. 1920 წ. ომი პოლონეთთან. 1921 წ. ლაშქრობა კავკასიაზე და ჩვენი ქვეყნის დაპყრობა. 1922 წ. ისევ პოლონეთში, კრაკოვში არეულობის დაწყება. 1923 წ. გერმანიაში გადატრიალების ცდა, სადაც კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ მოსკოვის მიერ უკვე დანიშნული იყო, უფრო გვიან ჯაშუშად გამოცხადებული კარლ რადეკი. 1924 წ. შეთქმულება და გადატრიალების ცდა ესტონეთში. კომინტერნი ამავე დროს უტევს აღმოსავლეთითაც: მღელვარება ჰოლანდიის კოლონიებში — იავაზე; ფრანგულ ინდო-ჩინეთში, ინდოეთში, ავღანისტანში, მონღოლეთში. მაგრამ ყველაზე საგულისხმო შედეგებს აღწევს ჩინეთში, სადაც, ერთ დროს, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე თავის ბატონობას ამყარებს.

მაგრამ მოსკოვს ასეთი შედეგები არ აკმაყოფილებს. რომანოვების იმპერიალიზმი იქნებ სტამბოლით დაჯერებულიყო, საბჭოთა იმპერიალიზმი უფრო შორს მიდის. მისი მიზანია მთელი კაცობრიობის მოსკოვისათვის დამორჩილება. კომუნისტური პროპაგანდა ამ მიზნის მისაღწევი საშუალებაა. მოსკოვში მშვენივრად იციან, რომ ამ გრანდიოზული გეგმისა და დაწყებული ბრძოლის ბედი მანჯურიასა და მონღოლეთში ვერ გადაწყდება, რომ დღევანდელი ცივილიზაციის ციტადელი ევროპაა და რადგან ახლილი დატაკებით აქ საწინააღმდეგო შედეგებს მიაღწიეს — მუსოლინის ფაშისტური იტალიისა და ჰიტლერის გერმანიის გაძლიერება — კომინტერნი ახალ ნიღაბს იკეთებს, იცვლება ბრძოლის ტაქტიკა; მოსკოვი ერთა ლიგაში შედის, იმ ერთა ლიგაში, რომელსაც „ყაჩაღებისა და მძარცველების საკრებულოს" უძახდა და ცდილობს ევროპის მემარცხენე პარტიებთან კეთილი ურთიერთობა დაამყაროს და თუ შეიძლება ერთიანი ფრონტიც შეჰქმნას „ფაშიზმთან საბრძოლველად".

კომინტერნის ამ ახალმა ტაქტიკამ, სამწუხაროდ, შეცდომაში ბევრი შეიყვანა. სტალინის თვალთმაქცობა გულწრფელ აქტად მიიღეს.

მოსკოვის მიერ დაჭირავებულმა და მოსყიდულმა პოლიტიკოსებმა, რასაკვირველია, არ დააყოვნეს მათთვის სასარგებლო განწყობილების მაქსიმალურად გამოყენება. ევროპის პრესა აივსო საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერებისა და სხვა და სხვა „მიღწევების“ აღწერით. ზოგიერთებმა ევროპიდან მოსკოვშიც იმგზავრეს სტალინის წინაშე რევერანსის გასაკეთებლად. დაიდო ახალი სავაჭრო და სამხედრო ხელშეკრულებანი და სხვ.

მოსკოვის ევროპაში კვლავ დაბრუნების, ევროპიულ ფერხულში ჩაბმის პოლიტიკა, შედარებით, ჩქარა დამარცხდა. ყველამ დაინახა ასეთი ცდის მავნებლობა და წითელი დათვის მოშინაურება „გაევროპიელების“ ოცნება უნაყოფო აღმოჩნდა. მოყვარეთ ევროპაში შემოყვანილმა მოსკოვმა, ფარულად, კიდევ უფრო გააძლიერა ევროპის ასაფეთქებლად ნაღმების ჩაწყობა. ასეთი მუშაობის შედეგი იყო სამოქალაქო ომი ესპანეთში.

კომინტერნის დახმარებითა და ხელმძღვანელობით, მორიგ არჩევნებში გამარჯვებული გამოდის ესპანელ სოციალისტებისა და კომუნისტების კოალიცია. სდგება ამ კოალიციის მთავრობა. იწყება ტერორი, თავისუფლად მოაზროვნეთა შეუბრალებელი დევნა, ეკლესიების ნგრევა, სასულიერო პირთა წამება და ცეცხლში დაწვა, ნაციონალისტების ხოცვა-ჟლეტა. ამავე დროს საფრანგეთშიც (1936 წ. ზაფხული) იწყება მასიური გაფიცვები ქარხნების ოკუპაციით და კომუნისტური ლოზუნგებით.

ესპანეთში სოციალისტ - კომუნისტ - ანარქისტების კოალიცია, სახალხო ფრონტის სახელწოდებით, გადაყენებულად აცხადებს პრეზიდენტ ალკალა ზამორას და ფაქტიურად ყოველგვარ კანონიერებას აუქმებს. იწყება ანარქიის ბატონობა, ბრბოს თარეში. თავისი ქვეყნის მოყვარული და სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის გულშემატკივარი ესპანელები აშკარად ჰხედავენ, რომ ქვეყანა უფსკრულში იძირება, რომ მოსკოვის ბრმა იარაღად ქცეულ, გამარჯვების სიხარულით დარეტიანებულ ბრბოს ხელში, ესპანეთის ერის და სახელმწიფოს თვით არსებობაა საფრთხეში.

ღენ. ფრანკო ახალ პრეზიდენტს, ასანას, წინადადებას აძლევს, თანახმად კონსტიტუციისა დაითხოვოს პარლამენტი და ზეპარტიული მთავრობის ხელმძღვანელობით ჩაატაროს ახალი არჩევნები. ასანა ამ წინადადებას უპასუხოდ სტოვებს. 13 ივლისს, ღამით, მადრიდის მილიციელებს თავის ბინიდან საცვლების ამარა გაჰყავთ ნაციონალისტების ლიდერი, დეპუტატი კარლო სოტელო და ჰკლავენ. 14 ივლისს მისი დამახინჯებული გვამი ქალაქ გარედ სასფალაოზე იპოვეს. 17 ივლისს ღენ. ფრანკოს მეთაურობით ჯარი იწყებს მოქმედებას ესპანურ მაროკოდან. სახალხო ფრონტის მთავრობა ბრძოლითვე ეგებება. იწყება სამოქალაქო ომი. მადრიდის მთავრობა დახმარებისათვის მიმართავს იდეოლოგიურად მონათესავე სახელმწიფოებს. ანრი დე კერილისის მიერ გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, საფრანგეთის „ფრონტ პოპულერის“ მთავრობა ავიონებითა და სხვა სამხედრო იარაღებით ეხმარება მადრიდს. მაგრამ მთავარი დახმარება მოსკოვიდან მოდის. ლარგო კაბალეროს მთავრობის გამარჯვებით მოსკოვი უაღრესად იყო დაინტერესებული. წითელი ესპანია ივსება საბჭოთა ავიონებით, ზარბაზნებით, ტყვიისმფრქვეველებით, ტანკებით, ტყვია-წამ-

ლით, ტანისამოსით, ოფიცრებით, ინსტრუქტორებით. რუსეთიდან დატვირთული გემები განუწყვეტლივ მოდიან. საბჭოთა კავშირში კაბალეროს დასახმარებლად, ახდილად, ყველასათვის საგალდებულო გადასახადიც კი დააწესეს — კაბალეროს ხომ „ესპანეთის ლენინს“ ეძახდნენ!

მოსკოვის ასეთი ენერგიული ჩარევა ფრანკოს მოძრაობას აყოვნებს. მაგრამ მოსკოვის თავგამოდებამ სხვა შედეგებიც მოიტანა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ საბჭოთა კავშირმა რესპუბლიკანურ ესპანეთს ნამდვილი დათვის სამსახური გაუწია. ლენ. ფრანკოს დამარცხება პირინეის ნახევარ კუნძულზე მოსკოვის უკონტროლოდ ბატონობის საფუძვლიანად დამკვიდრება იქნებოდა. ეს იცოდა მოსკოვმა და ამიტომ არაფერი დაუზოგავს, მაგრამ ეს იცოდა ევროპამაც და რომ კომინტერნი ესპანეთში არ გაებატონებიათ, ანტიკომუნისტური ძალები ლენ. ფრანკოს ეხმარებიან. ბოლოს, მოსკოვის საფრთხე იმდენად რეალური ხდება, რომ ინგლისი და საფრანგეთიც იძულებული არიან თავდაცვის ზომებზე იფიქრონ.

მართლაც, მოსკოვის ესპანეთში გაბატონება მარტო იტალია-გერმანიისათვის კი არ იყო საშიში, ამის შედეგები კატასტროფიული იქნებოდა მთელი ევროპისათვის. პირინეის ნახევარ კუნძულზე ჩასაფრებული რუსეთი ხმელეთით ემუქრებოდა: მოსაზღვრე საფრანგეთს, პორტუგალიას, და ინგლისის ძლიერების ერთ უმთავრეს ციხე-სიმაგრე გიბრალტარს; ხოლო ზღვით: ორივე ამ ვეებერთელა იმპერიის საზღვაო საიმპერიო გზებს. ასეთი პერსპექტივა, ცხადია ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიას განსაკუთრებულ სიფრთხილეს უკარნახებდა. საფრანგეთის სახალხო ფრონტის მთავრობას მადრიდის მთავრობისადმი პარტიულ-იდეოლოგიური სიმპატიები არ აკლდა, მაგრამ მის წინაშე იდგა უფრო დიდი საკითხი, რომელიც ამ სიმპატიებისა და პარტიული მიდგომის დაძლევას მოითხოვდა — ეს იყო საფრანგეთის სახელმწიფოებრივი და საიმპერიო ინტერესები. ამას დაემატა შიშიც, რომ საფრანგეთის მადრიდის დასახმარებლად გამოსვლა, დაუყოვნებლივ გამოიწვევდა იტალია-გერმანიის მიერ მეორე მხარის გამაგრებას. ეს კი ნიშნავდა ახალ ომს მთელი ევროპისათვის. აქედან: „ჩაურევლობის კომიტეტის“ შექმნის იდეა. ამ კომიტეტის არსებობის მთავარი პირობა იყო საბჭოთა კავშირის ჩათრევა, მისი ჩაბმა ამ კომიტეტის მუშაობაში და ოფიციალურად დაპირების მიღება, რომ საბჭოთა რუსეთი ესპანეთში თავს შეიკავებდა. იცოდნენ რომ კომინტერნი პირობას არ შეასრულებდა, მაგრამ მაშინ ხელი ეხსნებოდათ საფრანგეთსა და ინგლისსაც, სურვილისამებრ ერთ მხარეს დახმარებოდნენ. მოსკოვი ამ ანკესზე წამოეგო. მისი წარმომადგენელი „ჩაურევლობის კომიტეტში“ შევიდა და ამით მადრიდის მთავრობისათვის ახდილად დახმარებაზე უარი სთქვა. მოსკოვის რეგულიარული (დახმარება შემცირდა, მაგრამ უკვე მოზიდულის მარაგი იმდენი აღმოჩნდა, რომ ომი დღემდე გაგრძელდა.

ბარსელონის და კატალონიის აღებამ ლენ. ფრანკოს გამარჯვება იჭვს გარეშე დააყენა და ყველასათვის ცხადჰყო. ამას მოჰყვა ინგლისისა და საფრანგეთის მიერ ფრანკოს მთავრობის ცნობა და საფრანგეთში უდიდესი ავტორიტეტისა და პატივისცემის მქონე მარშალ პეტენის ბურგოსში ელჩად გაგზავნა.

ამით დამთავრდა მოსკოვის ცდა ესპანეთში გაბატონებისა.

მადრიდის ჭირვეულობა და „თავდაცვის საბჭო“ — არსებითად დამთავრებული ბრძოლის უაზრო ეპილოგია. ძნელი სათქმელია რა ფორმებში განვითარდება მომავალში, გამარჯვებული ნაციონალისტური ესპანეთი, შეიძლება, როგორც 1875 წელს, იქ მონარქია აღსდგეს, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია და ჩვენს თემაში არ შედის.

ღენ. ფრანკოს გამარჯვება ჩვენთვის დიდათ საგულისხმო იმიტომაა, რომ ეს მოსკოვის დამარცხებაა, კომინტერნის ევროპიდან განდევნაა და საქართველოს ამაოხრებელ კომუნიზმთან მებრძოლი ბანაკის გამაგრებაა. რამდენადაც გაძლიერდებიან მოსკოვის კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები, იმდენად უახლოვდებით საქართველოს განთავისუფლების საათს.

ა. ც.

„სომხების მოსვლა“

ბამატმა დიდის ზეიმით აუწყა ქვეყანას, რომ სომხებიც მის ამქარს შეერთებია. რა მოხდა სინამდვილეში და ვინ არიან ეს სომხები?

პარიზში სულსა ჰღაფავდა, ზოგი ქართული გაზეთის მსგავსად, ერთი სომხური გაზეთი: „აზგ“ (ერი), რომელსაც სცემდნენ ორი ძმა ზარგარიანები. ბამატმა მიაგნო ამ გაზეთს. მოლაპარაკებამ კარგა ხანს გასტანა. ბოლოს მორიგდნენ: თვეში სამი ათასი ფრანკი „ორგანიზაციული ხარჯებისათვის“ ძმ. ზარგარიანებს და სომხურად „კავკასია“ ბამატის ხარჯზედ. მაგრამ ინფორმაციის სისრულისათვის უნდა დაუმატოთ, რომ ამჟამად ძმ. ზარგარიანები მარტონი არ არიან, მათა ჰყავთ კიდევ ორი კაცი: სიმპატიური, „დანსორ მონდენის“ გარეგნობის ყმაწვილი ბ. შანტი და ბ. აფანასიანი. ეს არის სულ.

ამას დაარქვეს „სომხების მოსვლა“! იქნებ ნუგეშად ივარგოს: ქართველები არც ასე იაფად გაყიდულან...

რასა ჰფიქრობენ ამის შესახებ სომხები? აი რასა სწერს პარიზის სომხური ყოვლდღიური გაზეთი „არაჩ“ 23 თებერვლის ნომერში:

(მოგვყავს შემოკლებით) „... სავსებით საკმარისია ჟურნალ „კავკაზის“ სომხური გამოცემა, რომ საუკუთესო ოპტიმისტი დარწმუნებულიყო ამ მიმართულების შემცდარ შეხედულებებში. უფრო მეტსაც ვიტყვით: საფუძველი კავკასიური ერთობისა, უფრო მტკივნეული გახდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ბადეში მოჰყვა 4-5 ყოვლად უპასუხისმგებლო ახალგაზრდა სომეხი. და ვაი! რა დიდის ამბით განაცხადეს ეს მოვლენა, როგორც „სომხების მოსვლა“..... „ეს უბედური ახალგაზრდა ხალხი არ წარმოადგენენ საკუთარ თავსაც კი. თუ მართლაც მათ აქვთ რამე, ეს არის მათი თვიური შემოსავალი, რაც ვერც კი შესძლეს შეენახათ საიდუმლოდ“... „მაშასადამე ჰაიდარ ბამატს და კომპანიას სჯერათ, რომ ამ ბიჭ-ბუჭების შემწეობით, რომლებმაც საშშობლო ენაც კი არ იციან და ლაპარაკობენ ლუღლუღით, — „ამათ ექნებათ შესაძლებლობა იტრიალონ ფართო სომხურ წრეებში თავის მშობლიურ ენაზე“... ბარაქალა სულის გლახაკებს — იტყოდნენ მორწმუნენი“.

„კავკაზი“ რომელიც გამოდის რუსულად, ფრანგულად, გერმანულად, იტალიურად, ინგლისურად, ქართულად და სომხურად, მთელ მსოფლიოს საყურადღებოდ აცხადებს, რომ იმათ უარი სთქვეს „ყოველგვარ ტერიტორიალურ მოთხოვნილებაზე ოსმალეთის მიმართ“. კეთილი, მაგრამ თვით უკანასკნელი მიამიტი ადამიანი იკითხავდა — ოსმალეთიც თავის მხრიდან უარს ამბობს ტერიტორიალურ მოთხოვნილებებზე კავკასიურ რესპუბლიკების მიმართ? უფრო ნათლად რომ დავაყენოთ საკითხი — „კავკასიელი“ ქართველი არის დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირის დამხობის შემდეგ, „რის გამოც იქვი არ ეპარება „კავკაზს“ — ოსმალეთი არ დაიპყრობს ბათუმს, რის მისწრაფებაც მას ისტორიულად ჰქონდა? ასევე სწამს ბამატს, რომ ბაქო ოსმალეთის მადის გარეშე აღმოჩნდება?

„დასასრულს, რა არსებითი გარანტია აქვს „კავკაზს“ როდესაც ასე ხმამაღლა ჰყვირიან ოსმალეთის მეგობრობაზე. საბოლოოდ ივიწყებენ წარსულს და სომხებს გვიკითხავენ ნატაციებს. ჩვენ ყველაზედ უკეთ ვიცით, რომ საბჭოთა კავშირი იყო ბოროტება კავკასიისათვის, რომელმაც მხეცურად დაიპყრო და დაიმორჩილა არა რუსული მხარე და ეროვნებანი, და ბ. ბამატი უკეთეს იზავდა ნაკლები ელაპარაკა და საკუთარ მეხსიერებაში აღედგინა მისი სმწუხარო როლი ადერბეიჯანის გაბოლშევიკებაში.

„ამასთან, თუ „კავკაზელებს“ რეალური თავისუფლება უნდათ და არა მონობა, მოვალენი არიან ღრმად შეისწავლონ ფერცლები ისტორიისა, ყველა გვერდი ამ წიგნისა და არა მხოლოდ ერთი. როდესაც ახალ გზას გვთავაზობენ, მოვალენი არიან უპასუხონ ყველა საჭირბოროტო საკითხებზე, რომელნიც 20 წლის მანძილზე მეორდებიან საჯაროდ ყოველგვარი თავშეუკავებლობის გარეშე. სხვაგვარად ყოველი ცდა იქნება წყლის ნაყვა, რაც სინამდვილეში არის კიდეც“...

ესეც „სომხების მოსვლა“!



„შობის ხე“

ჟურ. „კავკასია“ შობას მომხდარ ინციდენტს ორ წერილში ეხება. ტონის მიმცემი, რასაკვირველია, ბ. შ. ამირეჯიბი ბრძანდება — როგორ მოითმენდა ასეთ საგანზე არაფერი ეთქვა? მას ბერლინიდან პარიზში ყველაფერი დაუნახავს, ყოველივე შეუსწავლია და „მიუდგომელი“ საბუთებით აღჭურვილს, საჩქაროდ განაჩენიც გამოაქვს. ბ. ამირეჯიბის ინფორმაცია, როგორც თითონვე ბრძანებს, მისი მეგობრების ე.ი. „კავკაზელების“ წერილები ყოფილა: მელას მოწმედ თავის კუდი მოჰყავდაო. მაგრამ ამირეჯიბს სიმართლე არც აინტერესებდა, ის მხოლოდ საბაბს დაეძებს, რომ ბამატის მოწინააღმდეგე ქართველობას ტალახი შეასხას, ყველანი ამოსვაროს, შური იძიოს, მოსპოს, — საჭურისის გარეგნობას გრძნობებიც საჭურისისა ახასიათებს. არც ერთი დებულება ამირეჯიბის „თხზულებისა“, გარდა თვით ჩხუბის ფაქტისა მართალი არ არის, ამიტომ ჩვენ მას უყურადღებოდ ვსტოვებთ.

გავარჩიოთ მეორე „თხზულება“ — „შობის ხე“ — რომლის ავ-

ტორი, რეზო გაბაშვილი „ყველგან დამსწრეს“ ფსევდონიმს ეფარება. ფსევდონიმი რას დაფარავს იმ სიმყრალესა და სულიერ სიმახინჯეს, რომელსაც გაბაშვილი ანსახიერებს? გაბაშვილის ყოველი ნაბლეჯნი, მისი ყოველი სიტყვა და მოქმედება იმდენად უმგვანო და გულის ამრევია, რომ მისი სტატია ათას ანონიმურ პასკვილ'მიც ამოიჩრევა.

დამახასიათებელია, რომ ეს „ყარაჩოღელი“ თავის გვარის მოწერას ვერა ბედავს და ლაჩრულად ფსევდონიმს ეფარება!

ვიდრე თვით ინცინდენტს შევეხებოდე, მკითხველს გავაცნობ ჩემს საუბარს რეზო გაბაშვილთან. მე მას მიუთითე შ. ამირეჯიბის წერილის იმ ადგილზე, სადაც ნათქვამია, რომ ჩხუბი წინასწარ მოწყობილი და მომზადებული იყო. ვსთხოვე ეს ადგილი, როგორც სიმართლეს მოკლებული, გადაესწორებინა და დასარწმუნებლად მოუყვანე შემდეგი საბუთები: 1. „თქვენ, „კავკასიელები“ ჩვენ გვეძახით „სპ. კედიას ხალხს“, თუ ეს თქვენი ნათქვამი თქვენივე გჯერათ, მაშინ უნდა მიიღოთ რომ ბ-ნ „სპირიდონის კაცები“ მისი მეუღლის მიერ მოწყობილ სალამოზე ასეთი განზრახვით არ მივიდოდით და სხვა დროსა და ადგილს შევარჩევდით; 2. თვით ჩხუბის დროს დ. სინჯიკაშვილის პირადი მეგობრები, მათ რიცხვში მეც, უკვე წასულები ვიყავით და მას გარედ უცდიდით. რომ ჩხუბი წინასწარ მოფიქრებული ყოფილიყო, დ. სინჯიკაშვილს მარტო არ დავტოვებდით და ჩვენც მის გვერდით ვიქნებოდით; 3. როცა ქვეშ, გასავალ კარებში ჩხუბი კვლავ განახლდა და თქვენ (ე.ი. გაბაშვილი) კიბეზე წაიქეცით, მე პირველი მოგეშველეთ და ფეხზე აგაყენეთ; 4. ჩხუბის შემდეგ „კავკასელები“ სახლში გაგაცილათ შოთა გედევანიშვილმა, რომელიც ჩვენს წრეს უკუთვნის. ესეც იმის მთქმელია, რომ წინასწარი განზრახვა არა გვქონია, თორემ შოთა გედევანიშვილი, ყოველშემთხვევაში, სახლში აღარ გაგაცილებდათ მეთქი“. გაბაშვილმა ყურადღებით მოისმინა და მითხრა: — ძალიან კარგი ჰქენი, რომ ყველაფერი ეს მითხარი, მე სხვებიც მელაპარაკნენ და მართლაც, არაფერი „ჩაწყობილ“ „ჩამოწყობილი“ არ იყო, თორემ მენშევიკ ნ. კალანდაძეს რაღას ერჩოდნენო. საერთოდ კი მუშტი კრივი დაუშვებელია და უნდა ზომები მიიღო შენს ამხანაგებში, რომ აღარ განმეორდესო. მე დავეთანხმე, რომ პოლიტიკური დავა მუშტით ვერ გადაწყდება, რომ ამაზე ჩვენ სხვა აზრისა არა ვართ და დაუსახელე შემთხვევაც, როცა ასეთი განზრახვა ჩვენ სხვებს ჩავაშლევინეთ და სხვ. ეს მოხდა შობის მეხუთე დღეს, პარასკევს. გაბაშვილი დამპირდა, რომ ორშაბათს ისევ მოვიდოდა სტამბაში და ამირეჯიბის წერილში ჩემს მიერ მითითებულ ადგილს შეასწორებდა. რ. გაბაშვილისაგან, რომელსაც ქაცობის ნატამალი არა ჰქონია, მოსალოდნელია ყველაფერი უარყოს, მაგრამ მისდა საუბედუროდ მე მარტო არა ვყოფილვარ: ეს საუბარი ესმოდა მესამე კაცსაც.

ორშაბათს გაბაშვილი მართლაც მოვიდა სტამბაში და... მოიტანა წერილი „ყველგან დამსწრეს“ ხელმოწერით. აქ გაბაშვილი არა თუ იმეორებს ამირეჯიბის სიყალბეს, უფრო შორსაც მიდის: თურმე ეს ჩხუბი მოუწყვიათ ბ. ბ. ნ. ჟორდანიას, სპ. კედიას, მიხ. წერეთელს; „ქართულ ქერას“ მახე დაუგია, გაბაშვილი და სხვები შეუტყუანებიათ რომ შემდეგ ეცემათ და სხვ. და სხვ. პარასკევს მე მეთანხმება, თავის საბუთსაც უმატებს (ბ. ნ. კალანდაძის ამბავი), რომ ჩხუბი წინასწარ განზრახული არ იყო და ორშაბათს, ე.ი. სამ დღეში სტამბაში

მოაქვს „ყველგან დამსწრეს“ წერილი! აი, ბატონებო, ასეთი უპირო და შუბლ მორეცხილი არსება, ჩვენდა დიდად სამარცხვინოდ, ვიდრე ბამატს მიეყიდებოდა, ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე ბოგინობდა. რა უნდა ეწოდოს ისეთ კაცს, რომელსაც სიტყვა არა აქვს, თავის ნათქვამს პატივს არა სცემს და თავი თავს ფულადა ჰყიდის?

ვინც გაბაშვილს კარგად იცნობს ამაში არაფერი ეუცხოება. გაბაშვილი მუდამ ასეთი უსიტყვო, ორპირი, ვერაგი და შუბლ მორეცხილი იყო.

როგორ მოხდა თვით ჩხუბი? „კავკაზელებს“ ეჭირათ მაგიდა გასავალ კარებში — ყველას თვალწინ. მათ მოითხოვეს სასმელი და 10—12 ბოთლი ღვინო და შამპანიური მაგიდაზე დაიმწკრივეს. მიმტან ქალიშვილებს თურმე რამდენიმეჯერ უცდიათ ცარიელ ბოთლების ალაგება, მაგრამ „კავკაზელებს“ არ დაუნებებიათ. ალბათ საზოგადოებისათვის თვალებში მტვერის მისაყრელად: — დაინახეთ რამდენი ფული გვაქვს, თქვენ „ორანჟადსა“ სვამთ, ჩვენ შამპანიურითა ვქეიფობთო! ყოველშემთხვევაში, საზოგადოებამ სწორედ ასე გაიგო, და არა ერთი და ორი კაცისაგან გავიგონე: ჩვენს გასაღიზიანებლად შვრებიანო. თუ მხედველობაში მივიღებთ არსებულ სულიერ განწყობილებას, ქართული მიწა-წყლით მოვაჭრეთა საქციელით გამოწვეულ მათდამი ზიზღს, გასაგები იქნება, რომ შობის ხეზე მათი გამოჩენა საზოგადოებისათვის დღესასწაულის ნახევრად ჩაშწარება იყო. ხოლო მათი გამომწვევი, პროვოკაციული საქციელი ამ ზიზღს უფრო აძლიერებდა. მაგრამ საღამო მაინც უინციდენტოდ ჩატარდებოდა, რომ შეზარხოშებულ „კავკაზელებს“ (ხუთ-ექვს კაცს მაგიდაზე 10—12 ბოთლი ედგათ) ჩხუბი თითონვე არ დაეწყოთ. ჩხუბი დაიწყო ექიმმა ჭაჭიაშვილმა, რომელსაც ამ მხრივ კარგად იცნობს პარიზელი ქართველობა (შობამდე რამდენიმე კვირით ადრე მან იჩხუბა მონმარტრზე დ. ერქომაიშვილთან, ამაზე ადრე კიდევ იქვე უცხოელებთან, უფრო ადრე არ. დადიანთან, შ. გედევანიშვილთან, უფრო ადრე ირ. ზალდასტანიშვილთან, ქართული კოლონიის კრების თვალწინ და სხვ. და სხვ. ეს მხოლოდ ისეთი შემთხვევებია, რომელიც საზოგადოებამ იცის, ხოლო ხუთი და ათი კაცის საიდუმლოდ დარჩენილ შემთხვევებზე არას ვამბობ). ჭაჭიაშვილმა ტუტუცური მიმართვით დააბრუნა უკვე კარებისაკენ მიმავალი ჩვენი მეგობარი დ. სინჯიკაშვილი, მაგრამ ეს უკანასკნელი მაშინვე დაუჭერიათ და ჭაჭიაშვილამდე ვეღარ მისულა. სხვა გამშველებლებთან ერთად დ. სინჯიკაშვილისაკენ წასულა ბონდო ელიავაც, რომელიც ჩვენი მეგობრების მიერ, უკვე 5-6 წელია, მიჩნეული იყო ჩვენი წრის მტერად, ამიტომ მას წინ გადასდგომია ი. შიხაშვილი. ესენი ერთმანეთს დასტაკებიან. მე რამდენიმე მეგობართან ერთად, დარბაზიდან უკვე გასული ვიყავი და შინ წასასვლელად გარეთ, მანქანაში უცდიდით დ. სინჯიკაშვილს. გვითხრეს ჩხუბიაო. როცა დარბაზში შევედი გაშველებულები იყვნენ. ხმაურობაში ვერც კი გავარკვიე ვინ-ვისთან ჩხუბობდა. მივაშურე დ. სინჯიკაშვილს და ის მაშინვე წამოვიყვანეთ. ამ წუთამდე არ ვიცოდი რა მოხდა და მხოლოდ კიბეებზე ჩამოსვლის დროს (დარბაზი მეორე სართულზეა), გავიგე, რომ მეორე მხარე ჭაჭიაშვილი ბრძანებულა. ისევ შევბრუნდი

ი. შიხაშვილის წამოსაყვანად. ისიც წამოვიყვანეთ. ამ დროს „კავკაზელები“ ისევ თავის მაგიდას უსხდნენ. არც ერთ მათგანს, მიხ. კედიას გარდა ხელი არ მოხვედრია. ინციდენტიც ამით ამოიწურებოდა, რომ „კავკაზელები“ კვალ და კვალ არ მოგვყოლოდნენ. დ. სინჯიკაშვილი და ი. შიხაშვილი ჯერ კიდევ პალტოს იცვამდნენ, რომ ზ. ავალიშვილი, გაბაშვილი მეუღლით და სხვები თავზე წამოგვადგნენ. რეზო გაბაშვილმა შორიდანვე მიაძახა სინჯიკაშვილს: „სულ შენი საქმეა მე ....“ იხმარა ქუჩური სიტყვა. სინჯიკაშვილმა სიტყვა შემოუბრუნა და წამოიწია. ის კვლავ დავიჭირეთ. მაგრამ დრო იხელთა ი. შიხაშვილმა და გაბაშვილს მიატანა. ამ დროს ზურაგ ავალიშვილმა, რომელიც იქვე იდგა, ალბათ გაბაშვილის დასაცავად, წიხლი ჩაარტყა შიხაშვილს. ეს უკანასკნელი ავალიშვილს მიუბრუნდა და სანამ მე მივასწარი ხელი შეახო ორჯერ. შიხაშვილს რომ გადავეღობე, ავალიშვილს ხელი შეახო მორე კაცმაც, რომელიც სხვა დაჯგუფებას ეკუთვნის. გაბაშვილს ვინ რა უყო ვერ დავინახე, ვნახე მხოლოდ რომ ის კიბეებზე დაგორდა. ვგონებ შიშისაგან მოუვიდა: ისეთი საცოდავი, შეშინებული სახე ჰქონდა, რომ სხვებს თავი დავანებე, მივეშველე, ფეხზე ავაყენე და თავის ცოლს ჩავაბარე — ურჩიე წაეყვანა. ამით გათავდა ჩხუბიც.

ამრიგად, პირველ შემთხვევაში, დარბაზში, ჩხუბი დაიწყო ჭაჭიაშვილმა, რასაც ერთხმად ადასტურებენ საღამოზე დამსწრენი, ვინც „კავკაზელების“ მაგიდასთან ახლოს ისხდნენ და მაშასადამე ჭაჭიაშვილის ნათქვამის გაგონება შეეძლოთ. ხოლო ამის ლიკვიდაციის შემდეგ, კიბეებზე ჩხუბი განაახლა რეზო გაბაშვილმა. ის რომ გაჩუმებულიყო და დ. სინჯიკაშვილს არ დამუქრებოდა, არც მასა და არც ავალიშვილს არაფერი მოუვიდოდათ. მაშასადამე ორივე შემთხვევაში რაც მოხდა, მათი თავშეუკავებლობისა, გამომწვევი საქციელისა და ენამყრალობის ბრალია. რასაკვირველია, ზედმეტია ლაპარაკი რაიმე წინასწარ განზრახვაზე. მგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ თვით „კავკაზელები“ ყველაფერსა შვრებიან ასეთი ინციდენტების გასამრავლებლად: მთელ ქართულ ემიგრაციასთან ბრძოლა და მთელი საზოგადოების ტალახში ამოსვრა, სხვა და სხვა პირთა მოსყიდვა და პროვოკაციები, რასაკვირველია მათ საწინააღმდეგო განწყობილებას აძლიერებს და ინციდენტის გამოწვევა შემთხვევით საბაბზეა დამოკიდებული.

ეს მშვენივრად იცის გაბაშვილმა, ამიტომ სრული უფლება მაქვს ვიფიქრო, რომ ის შეგნებულად სტყუის. მაგრამ მე ვეჭვობ, რომ ასეთმა დასკვნამ ვინმე გააკვირვოს: ცბიერობა, მატყუარობა, ორპირობა, შუბლმორეცხილობა — ეს გაბაშვილის თანდაყოლილი თვისებებია, აწ უკვე ყველასათვის ცნობილი. მთელ თავის სიცოცხლეს ის პასკვილების წერაში ატარებს, ეს მისი ხელობაა. მუდამ ვინმეს „ებრძვის“, ვინმეზე ღრიალებს, მთელი ქვეყანა მტყუანია, მართალი მარტო თითონ არის. ამიტომ არის რომ საზოგადოება მეტ სახელად გიჟ რეზოს ეძახის. მაგრამ გაბაშვილი სხვა ტიპის „გიჟია“: საზოგადოებისათვის მავნე, ჰაერის მომწამლავი. მას მხოლოდ ვნება შეუძლია, მხოლოდ წახდენა, მხოლოდ ლანძღვა-გინება. ამიტომ იყო, რომ ბ. ნ. ჟორდანიამ, სულ ბოლო დროს, თავის ფრონტიდან გამოაპანჩურა და მიუხედავად საგანგებო არზისა, უკან აღარ მიიღო. არც გასაკვირია: ვის რათ

ულნდა მავნე და ბნედიანი კაცი. ამიერიდან ბამატს ერთი დამსახურება მაინც მიუძღვის ქართველების წინაშე: ქართული ასპარეზიდან გაბაშვილის მოშორება, უეჭველად სამსახურის გაწევაა ქართული საქმისათვის.

მხოლოდ რ. გაბაშვილივით დამთხვეულსა და ტვინ-დანჯღრეულ არსებას შეუძლია შობას მომხდარი ჩხუბის პასუხისმგებლობა ბ.ბ. ნ. ჟორდანიას, სპ. კედიას და მიხ. წერეთელს დააკისროს. რა შუაშია რომელიმე მათგანი? მენშევიკებს ხომ გაშველების მეტი არაფერი უქნიათ? ბ-ნი მიხ. წერეთელი ცუდი კაცი იმიტომ გახდა, რომ გაბაშვილივით არ გაიყიდა, ქართული მიწა - წყალი სხვას არ დაუმტკიცა და პირიქით, საქართველოს უფლება და ღირსება დაიცვა. ბ-ნ მიხ. წერეთლის „დანაშაული" მხოლოდ ეს არის. ბ-ნ სპ. კედიას ნაკლიც იგივეა, არც ის გაიყიდა და საქართველოს სადარაჯოზე დარჩა. ვინც საქართველოს დასაცავად ხმას აღიმაღლებს, ის ცუდი კაცია, ხოლო ვინც საქართველოს ოსმალეთის საკუთრებად გამოაცხადებს, ის „დიდი პატრიოტი" და „დიდი ქართველია"! ასეთია „კავკაზისა" და გაყიდული ქართველების საზომი. გაბაშვილი რომ მართლა „გიჟი რეზო" არ იყვეს, ის მიხვდებოდა თუ რამდენად საზარალოა თვით „კავკაზისათვის" ქართველთა პირველი კაცების, სამივეს ერთბაშად დასახელება და მათ წინააღმდეგ ლაშქრობა. ესეც ერთი საბუთია, რომ „კავკაზი" ერთობ საქართველოს ებრძვის და არა რომელიმე პარტიას.

ალ. ცომაია

ჩვენ განგებ მოგვყავს ისეთ პირთა ჩვენებები, რომელთაც „ივერიელებთან" არავითარი კავშირი არა ჰქონიათ და ჩვენს წრეში არასოდეს ყოფილან:

მე არ ვეკუთვნი არც ერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას და მაშასადამე, დაინტერესებულიც არა ვარ ვინმეს გათეთრებით. ვამბობ რაც ვნახე და ვიცი.

ილო შიხაშვილი, რომელსაც ეს უსიამოვნება შეემთხვა, შობის ხეზე მე წავიყვანე. „შობის ხის" მისამართის უქონლობის გამო მასთან შევიარე, რომ ერთად წავსულიყავით. ი. შიხაშვილი ლოგინში დამხვდა, შეუძლოდ იყო. ჩემი დაბეჯითებით თხოვნის შემდეგ ადგა და ერთად წავედით. დარბაზში რომ შევედით, დაახლოებით საღამოს 8 საათზე იქ ვნახეთ ჩვენი მეგობარი დ. ბეგიაშვილი, რომელიც იჯდა ქ-ნ და ბ-ნ ლაშქარაშვილებთან, ჩვენც მათ შეუერთდით. ჩვენს გვერდით მაგიდა დაკავებული ჰქონდათ „კავკასიელებს". ეს გარემოება შეიძლებოდა სრულიად შეუმჩნეველად დარჩენილიყო, რომ არ ჰქონოდა ადგილი ერთ შემთხვევას: ჩვენს მაგიდასთან ჩამოიარა ბ. დ. სინჯიკაშვილმა, მოგვესალმა, დღესასწაული მოგვილოცა და წავიდა: მეჩქარებაო. აი ამ დროს ჭაჭიაშვილმა მიაძახა: „ეი შენ, სწორედ გეიარეო". დ. სინჯიკაშვილი, რომელიც მათ მაგიდას უკვე გაცილებული იყო, შემობრუნდა. რადგან მე უფრო ახლოს ვიჯექი, ბეგიაშვილმა მითხრა — „ადექ არ გაუშვაო" და მეც ერთი პირველთაგანი ვიყავი, რომ გასაშველებლად მივედი.

მ. გრიგოლია

შობის ხეზედ მომხდარი უსიამოვნების შესახებ, რადგან ეს ამბავი პრესაშიც აღიძრა, მე ვფიქრობ ყოველი პატიოსანი ქართველის მოვალეობა არის, ინციდენტის უტყუარი სურათი ასახოს. ამიტომ თქვენს შეკითხვაზე პასუხის გაცემა ჩემს მოვალეობათაც მიმაჩნია.

მე ვფიქრობ, რომ ეს ჩხუბი სრულიად შემთხვევით მოხდა. ამას მაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ჩხუბის ინიციატივა თვით „კავკასიელებს" ეკუთვნის. დარბაზში მე ბ. დ. ბეგიაშვილთან ერთად მივედი. ერთ მაგიდაზე დაგვხვდა ბ-ნი მიშა ლაშქარაშვილი მეუღლით. ჩვენც მათ შეუერთდით, ცოტა უფრო გვიან შემოგვიერთდენ ბ.ბ. მიხ. გრიგოლია და ი. შიხაშვილი. „კავკასიელებმა" ჩვენს გვერდით მაგიდა მხოლოდ ჩვენს შემდეგ დაიკავეს და ამის გამო ჩვენს მაგიდაზე არავითარი უსიამოვნება არ შემიმჩნევია. მე პირადათ არც ვიცოდი, რომ ჩვენს გვერდით ბამატის მომხრენი ისხდნენ, რადგან არც ერთ მათგანს ამ დღემდე არ ვიცნობდი.

უფრო გვიან ჩვენს მაგიდასთან ჩამოიარა ბ. დ. სინჯიკაშვილმა, რომელსაც ვთხოვეთ ერთი ჭიქა ჩვენთან დაელია. ის მოვიდა, დღესასწაული მოგვილოცა და ჩვენს თხოვნაზე, რომ ჩვენთან დამჯდარიყო გვიპასუხა: „მეჩქარება, მეგობრები გარეთ მიცდიან, უნდა გავიქცეო". დაგვემშვიდობა და წავიდა. უცებ მოგვესმა შეძახილი: „ეი შენ, სწორედ გეიარეო!" ეს იყო ჭაჭიაშვილი, ის თითის ქნევით იძახდა ამ სიტყვებს. ბ. სინჯიკაშვილი შემობრუნდა და ჭაჭიაშვილს მიმართა შემდეგი სიტყვებით: — „ჭაჭიაშვილო, შენი სიცოცხლე პროვოკატორი იყავი და ეხლაც პროვოკატორი ხარო"... ამ დროს შუაში ჩადგა მიხ. კედია, და დ. სინჯიკაშვილს შეურაცხმყოფელი სიტყვა მიახალა. შემდეგ რაც მოხდა ამის განვითარება იყო.

ყოველივე ეს ჩემი თვალით ვნახე და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ არაფერი მოხდებოდა ჭაჭიაშვილს რომ არ დაეძახა და უკვე მიმავალი დ. სინჯიკაშვილი არ დაებრუნებია.

დასასრულს უნდა მოგახსენოთ, რომ ჟურ. „კავკასია" სრულიად ამახინჯებს სინამდვილეს, და ჩემის აზრით ამას შეგნებულად სჩადის, რასაც იმით ვამტკიცებ, რომ ჩხუბის გათავების შემდეგ მე მოვისმინე კიბეზე ჩასვლის დროს, „კავკასიელების" შემდეგი სიტყვები: გაბაშვილი და ავალიშვილი ეუბნებოდნენ ჭაჭიაშვილს: „სულ შენი ბრალია, რათ დაუძახეო". ჭაჭიაშვილმა უპასუხა: „რა მექნა, თვალი თვალში გამიყარა, რაღაცა ხომ უნდა მეთქვაო". აქედან ცხადია, რომ „კავკასიელებმა" კარგათ იციან რაშიც იყო საქმე, მაგრამ რაღაც მიზნით სულ სხვასა სწერენ.

პატივისცემით **ი. ბებერაშვილი**

●●●

დ. პ. ბატონო რედაქტორო, ვინაიდან არ არსებობს დამოუკიდებელ ნაციონალისტთა ორგანო, გთხოვთ თქვენს ჟურნალში მოათავსოთ ორიოდე სიტყვა განცხადების სახით, 25 დეკემბერს შობის ხეზე მომხდარი ინციდენტის გამო.

ამა წლის №1(20) ჟურნალ „კავკასიაში" ბ-ნი „ყველგან დამსწრე" აგვიწერს შემდეგს:

„ის თავხედური თავდასხმა, რომელიც მოახდინეს ბ. სპ. კედიას „ახალი ივერიის" ახალგაზრდობამ „კავკასიელებზე" 25 ქრისტიშობი-

სთვეს ქართული კერის შობის ხეზედ, არ იყო არც ქართული ტრადიციული ჩხუბი სიმთვრალეში და არც სპონტანიური აფეთქება, როგორც უყვარს მაღალფარდოვანი ლაპარაკი იმავე გზირების ლიდერს. ეს იყო ხანგრძლივი მომზადებისა, თავშეუდებელი დევნისა და ღვარძლიანი ცილისწამებათა შედეგი საზოგადოებასა და პრესაში. მთავარი სულის ჩამდგმელი ამ ველური კამპანიისა, როგორც ყოველთვის ემიგრაციაში არის ბ. ნ. ჟორდანია თავის ვიწრო ფირალური წრით, ჯერ კიდევ საქართველოდან გამოცდილი ასეთ საქმეშიო"... „უკანასკნელი აკორდი იყო ბ. პროფესორ მიხეილ წერეთლის პროვოკატორული წერილები, რომელიც ნამდვილ პრელუდიად გადაიქცა უკვე ხელჩართული ხულიგნობისა" და სხვ.

პატივცემულ საზოგადოებასა და მკითხველებს გავაცნობ, თუ როგორ მოხდა შობის ხეზედ უსიამოვნება. მე როცა დარბაზში შევედი ჯერ კიდევ არ იყვნენ მოსული ახალგაზრდა „ივერიელები" და არც ბამატის თანამშრომლები. ადრე მოვიდნენ „ივერიელები". ბამატის თანამშრომლები რომ მობრძანდნენ ბავშვების დღესასწაული უკვე გათავებული იყო. შესავალ კარებთან შიგნით პირველ მაგიდას უსხდნენ განსვენებულ ქ. ჩოლოყაშვილის ერთი რაზმელი სამი-ოთხი მეგობრით. მათ გვერდით „კავკაზელები" და შემდეგ იმავე რიგზე „ივერიელები", რომელთაც ახლდათ ერთი უცხო პირი. ესენი უფრო ადრე მოვიდნენ, სამმა კაცმა მოითხოვა 2 ბოთლი ღვინო და ნელ-ნელა შეექცეოდნენ, წყნარი ხმით. დარბაზში წესრიგი სუფევდა. ზოგი მიდიოდა, ზოგი მოდიოდა, ერთმანეთს სალამს აძლევდნენ და არავითარი უსიამოვნო ლაპარაკი არ მომისმენია არავისგან. სულ ბოლო დროს „ივერიელების" მაგიდასთან მივიდა მათი მეგობარი დ. სინჯიკაშვილი, მიულოცა დღესასწაული და მათი სადღეგრძელო დალია. მეგობრებმა სთხოვეს დარჩენილიყო, მაგრამ მან უარი უთხრა, დაემშვიდობა და გაემართა კარებისაკენ. ჯერ არ იყო „კავკაზელების" მაგიდიდან შორს დაცილებული, რომ ბ. ჭაჭიაშვილი მოედო მზვარის ძეძვივითა: „შენ ჰეი, სწორედ გაიარეო"! მაშინ დ. სინჯიკაშვილი მოუბრუნდა ჭაჭიაშვილსა და ცხადია, მას დაუყვირა. ამ დროს მიხ. კედია გადაუდგათ შუაში და „ივერიელს" სიტყვით შეურაცხყოფა მიაყენა. დ. სინჯიკაშვილს მისცვივდნენ მისივე მეგობრები და ჩქარა გარედ გაიყვანეს. მერე ამბობდნენ, რომ კიბეებზე ერთმა „კავკაზელმა" ივერიელს წიხლი ჩაარტყაო და ამიტომ დაარტყეს ავალოვსა და გაბაშვილსაო. მე კიბეებზე მომხდარი ამბავი არ მინახავს, მხოლოდ ბ. გაბაშვილის ხმა შემომესმა: მეც მეჩხუბებიანო. დარბაზშივე გაგონილს მოგახსენებთ. ერთიც მიხ. კედიას მოხვედრია, როცა წინ გადაუდგა და შეურაცხყოფა მიაყენა დ. სინჯიკაშვილს. მე არც ეს შემიმჩნევია, რადგან ხალხი უკვე აშლილი იყო. ეს არის სურათი ამ უსიამოვნებისა. რასაკვირველია უყოყმანოდ დასაგმობია არა მარტო ბავშვების დღესასწაულის აფორიაქება, არამედ საერთოდ ყოველი საზოგადოების წესრიგის დარღვევა და აფორიაქება, რასაც კარგა ხანია ეწევა ჩვენი უინაჩო სარდლობა, მაგრამ არა ნაკლებ დასაგმობია ბრალიანის და უბრალოს ერთი მეორეზედ გადაბმა და ყველას ერთბაშად ამოსვრა, როგორც სჩადის „ყველგან დამსწრე".

„კავკასია" სწერს „ივერიელებმა" მოახდინეს თავდასხმაო და ეს იყო ხანგრძლივი მომზადების შედეგიო. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ

მართლა თავდასხმა და ჩხუბი მოხდებოდა. სრულიად ყალბი ბრალდება არის ამ ამბის წინასწარ მოწყობის მტკიცება და სინამდვილეს ძალიან აზვიადებს „ყველგან დამსწრე". „ეს არ იყო ქართული ტრადიციული ჩხუბიო," — თურმე რაც მოხდა საკმარისი არა ყოფილა და „ყველგან დამსწრეს" „ყარაჩოღული ჩხუბი" ნდომია. ჩემი შთაბეჭდილებით ჭაჭიაშვილი რომ არ მოსდებოდა შარად ჩხუბი სულაც არ მოხდებოდა და მადლობა ღმერთსა და ახალგაზრდათა თავდაჭერილობას, რომ ეს ჩხუბი არა ყოფილა მაგარი და „ყარაჩოღული".

თუ წინასწარ მომზადებული იყო „კავკაზელების" ცემა, როგორც გვარწმუნებს „ყველგან დამსწრე", მაშინ რითი ხსნის, რომ მოჩხუბრები თავისმა მეგობრებმა „ივერიელებმა" შებოჭეს და დარბაზიდან წაიყვანეს? რაც შეეხება ბ. ჟორდანიას წრესთან „ივერიელების" გადაბმას, ესეც უსამართლო და ბრუნდე კალამის საქმეა, თორემ „ივერიელებს" ყველანი ვიცნობთ და ვიცით, რომ თავიანთი პატიოსანი შრომით სცხოვრობენ და თავის ბედს სხვათა ქონებას არ უკავშირებენ. საზოგადოთ, ყველა ახალგაზრდას მეტი აქვს სათქმელი „ყველგან დამსწერეს" მიმართ ბ. ჟორდანიასთან კავშირზე და ბევრ სხვაზედაც. რაც შეეხება ოდენკურის ამბავს, ისიც, სავალალოდ, ბნელი პოლიტიკოსების და „ყარაჩოღელი ჩხუბის" მომხრეთა საქმე იყო და არსებითად იმავე სულისკვეთების შექმნას ემსახურება „ყველგან დამსწრეს" წერილი, როცა პროფ. მიხ. წერეთელსა და სხვებს უდიერ შეურაცხყოფას აყენებს. რას ემართლებიან პროფ. წერეთელსა? აბა არ გამიჯნოდა ბამატის „კავკასიას" თუ უდიდეს კაცად არ იქნებოდა გამოცხადებული, მაგრამ რას იზამთ, ეს ჭკუისა და გემოვნების, ვალდებულობისა და რწმენის საქმეა ვინ სად უნდა იყოს.

„ყველგან დამსწრე" თავის მკითხველს არწმუნებს ჩხუბი წინასწარ მოწყობილი იყოვო. ეს რომ დავიჯეროთ, გამოდის, რომ ჭაჭიაშვილი მოედო ძეძვად, რომ „მოწყობილი თავდასხმა" ჩქარა მომხდარიყო და ალბათ, მათ მიერ მოწონებულ „ყარაჩოღულ ჩხუბად" გადაექცია. „ყველგან დამსწრე" ვითომ წინააღმდეგია ჩხუბისა და აურზაურისა, მაგრამ მისი წერილის ყოველი პწკარი მკითხველს ყურში აწვეთებს სიძულვილსა და ახალი ჩხუბისა და დავიდარაბის საჭიროებას.

ბ-ნო „ყველგან დამსწრევ" გეტყობათ უხვი წყაროსათვის მიგიგნიათ და ემიგრაცია დასაწვავადაც არ გენანებათ, ახალი უსიამოვნების ნაპერწკლებს აფრქვევთ, მაგრამ ქართული თქმულობა ამბობს: ზღვა კოვზით დაილევაო. გაუთავებელი არაფერია. ადრე თუ გვიან დაშრება თქვენი მკვებავი წყაროც და იმ დროზე რომ ეხლავე იფიქროთ, გრძნობები გონებას დაუმორჩილოთ, თქვენთვის უკეთესი იქნება. კაცი უმადური და უნიათო, ორმაგი პოლიტიკის მიმდევარი, თავს ვერ დაიხსნის ბატონის მონობიდან და ვერც ქვეყნის განთავისუფლების საქმეს გამოადგება.

შობის ხეზე დამსწრე **მ. ლაშქარაშვილი**

† გრ. ნადარეიშვილი

გასული წლის დეკემბერში გარდაიცვალა გრიშა ნადარეიშვილი. ის ეკუთვნოდა იმ ქართველ ახალგაზრდათა კადრს, რომელსაც სწამს სამშობლოს მარადიულობა და მისთვის ბრძოლა წმიდა მოვალეობას შეადგენს. მას სწამდა საქართველოს საბოლოო გამარჯვება და იმ დროისათვის ემზადებოდა. ყოველდღიურ სიდუხჭირეში მან მოახერხა პარიზში უმაღლესი განათლება მიეღო, რათა უკეთ ემსახურა მშობელი ქვეყნისათვის, უფრო მეტად გამოსადეგი ყოფილიყო.

მუდამ ჩუმი, დაკვირვებული და თავაზიანი, კეთილი, გულის სიღრმეში ატარებდა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს და მისი ზრუნვისა და ფიქრის საგანი მხოლოდ ეს იყო. ალბად ეს რწმენა აძლევდა სიმტკიცეს ამ ფიზიკურად სუსტ ადამიანს, რომ არც ერთხელ არ ამტყუნა თავის მიზნებისათვის, რომ არც ერთ ბნელ კომბინაციაში არ ჩარეულიყო, რაც ასე ხშირი არის ჩვენს დაძაბუნებულ ემიგრაციაში. იგი მტკიცეთა და პატიოსნად იცავდა თავის აზრებს. მას ერთნაირად აწუხებდა როგორც გარეშე მტერი ისე შინაური უთანხმოება. მისი მიზანი ქართველთა შორის ზავი იყო და ამ მხრივ საკმაოდ ძლიერ პროპაგანდასაც ეწეოდა.

როდესაც ქართველთა შორის აღმოჩნდენ ისეთები, ვინც ჩვენს კურთხეულ მიწა - წყალს ბოროტად შეახეს ხელი, გრიშა, როგორც გულწრფელი პატრიოტი, აღშფოთდა და გამცემლების 'წინააღმდეგ ბრძოლა'ში აქტიურად ჩაერია. „ახალი ივერიამ" ქართული პოზიცია დაიჭირა და ამიერიდან მეც თქვენთან მიგულეთო — გვითხრა გრიშამ, და მიუხედავად იმისა რომ ის ოფიციალურად ჩვენს წრეს არ ეკუთვნოდა, ჩვენს ჟურნალში მოათავსა წერილი „კავკაზის" მავნე პოლიტიკის შესახებ.

სათნოებასთან ერთად გრიშა შეუბრალებელიც იყო, როდესაც საკითხი ქართველ ერსა და ჩვენს ქვეყანას ეხებოდა და სწორედ ასეთი შეურიგებლობით ეკვეთა ამ „ნამდვილ მტერთ", რომლებმაც „ფართოდ გაშალეს ფრონტი" საქართველოს წინააღმდეგ.

გრიშა ნადარეიშვილი არის მორიგი მსხვერპლი ჩვენი თაობის მიერ გაღებული: თაობა დევნილი საქართველოში შემოსეული მტრის მიერ, და დევნილი ემიგრაციაშიც საქართველო წაგებულ ხელმძღვანელობის მიერ.

გრიშას სიკვდილით ჩვენმა რიგებმა დაჰკარგა ჩუმი და ერთგული მუშაკი, მაღალი ზნეობის და უტეხი სულის მებრძოლი მამულიშვილი. საუკუნო იყოს ხსენება შენი.

ირ. ბეგიაშვილი

ქართული ფილმი პარიზში

პარიზის ქართული კოლონია თითქმის მთლიანად დაესწრო 24 თებერვალს ნაჩვენებ ორ ფილმს. პირველი ფილმი იყო რუსული, მაგრამ ქართულ ნარევი, და ერქვა: „პუშკინის მოგზაურობა არზრუმში"; მეორე ფილმი იყო ქართული, მაგრამ რუსულ ნარევი და წარმო-

ადგენდა: „ტარიელის მიერ ქაჯეთის ციხის აღებას“. ეხლავე უნდა ვსთქვათ, რომ ორივე ფილმი იყო ყოვლად უშინაარსო და უფერული, და თუ პირველში სიტლანქე და ტენდენციურობა სჭარბობდა, მეორე სრული უვიცობის და უძლურების ნიმუშია. „პუშკინის მოგზაურობა“ არ იყო მოგზაურობის დოკუმენტალური ფილმი, სადაც შეიძლებოდა ბუნების და ხალხის მდიდრად დასურათება (არა ბეზობდალის გარუჯულ გორაკებით და არზრუმის ხრიოკი მიდამოებით!), ეს ფილმი არც ისეთი მოგზაურობა იყო, რომელიც სავსეა განცდებით, შთაბეჭდილებებით, თავგადასავლით. არც გარეგნული ესილამაზით და არც შინაარსით ის არ იყო საყურადღებო. ისტორიული სინამდვილე მიდგომით და ტენდენციურადაა გადმოცემული: ყოველივე არაბოლშევიკური აღმაშფოთებელია; ნიკოლოზ პირველის რეჟიმი ნიჭის (პოეტის) თავისუფლებას ზღუდავდა, სდევნიდა, ჯაშუშობდა, მოწინააღმდეგეებს (დეკაბრისტებს) დამარცხებულებსაც კი სასიკვდილოდ სწირავდა; თავის ელჩებს სათანადო პატივს არა სცემდა (გრიბოედოვი), ჯარის უფროსები რეგვენები, ლოთები და გარყვნილები იყვნენ, ჯარის კაცები უხეში მცარცველები, უბრალო ხალხი მუდამ ბუნტის მოტრფიალე, პუგაჩოვზედ მეოცნებე და სხვ. სხვის თვალში ბეწვის ძებნა და საკუთარში დირეს ვერ შემჩნევა — ასეთია საბჭოთა ფილმი. ქართველობა იყო ნაჩვენები, როგორც ბატონი თავის შინაყმებს, სატრაბახოდ სტუმრებს აჩვენებს. იმ დროინდელ ტფილისელ ქართველების პუშკინისადმი გადაჭარბებული პატივისცემა და ზეიმი, რასაკვირველია, შეგნებული სიყალბეა, ხოლო ქართველი განათლებული და კეთილშობილი ქალის (ასრულებს შურა თოიძე), პუშკინთან სასტუმროს ოთახში მოქცევა — ეს ნამდვილი სიტუტუცე და თავხედობაა. თუ ასე იქცევიან რუსის „კომსომოლკები“, ეს როდი ნიშნავს, რომ ასევე იქცეოდნენ ქართველი ქალები, მით უფრო ძველ ტფილისში. პუშკინი (გრიმით და გარეგნობით კარგი) უბრალო ნევრასტენიკათ იყო გამოყვანილი.

მეორე ფილმი, „ქაჯეთის ციხის აღება“ უფრო უარესია, თუმცა რეჟისორი, ბ. მიქაბერიძე, ტარიელი: კოხტა ყარალაშვილი, ნესტან-დარეჯანი: თამარ ციციშვილი და სხვა არტისტებიც ქართველები არიან. უმზგავსო იყო ფრიდონი, რომელიც ტყის კაცს უფრო ჰგავს ვიდრე რუსთაველის გმირს. ტარიელი (კ. ყარალაშვილი) ვერც გარეგნობით არის დამაკმაყოფილებელი და მისი ბრძოლები საბავშო სურათადაც ვერ გამოდგება (ცხენის შუბლითა და ხმლის ერთი მოქნევით ციხის კარების შენგრევა, ქალალდის ცხენებით კლდეებზე გადაფრენა, ვეება „ქაჯების“ ცხვრებივით დაწყვეტა, ტარიელისათვის რომ გამარჯვება გაეადვილებინათ ზოგი „ქაჯი“ უმალ კვდებოდა ვიდრე ტარიელი თავს მოჰკვეთავდა და სხვ.); ზოგიერთი ადგილები კომიკური ხასიათისა უფროა, ვინემ რაინდულისა („ქაჯების“ მიერ ხიდის უჭკუოდ გრძელი ნგრევა, ტარიელის და ნესტანის შეხვედრა და სხვ.); თვით ნესტან დარეჯანი (თ. ციციშვილი) ჩვეულებრივ სინე-ვედეტას უფრო ჰგავს, ვიდრე „ინდოეთის შვიდთა მეფეთა მეფის“ ასულს, გულით და სულით, სინაზით, ჭკუით და სიამაყით ქალის საუკეთესო განსახიერებას. ქაჯეთის ციხის აღება, მოკლედ რომა ვსთქვათ, უჭკუო და უგემური ფანტაზიაა, სრულიად დაშორებული გენიოს რუსთველის უკვდავ თხზულებასთან. ფილმების სონორიზაცია და ლაპარაკი ისეთივეა, როგორიც იყო ევროპაში ამ ათი წლის წინ, მოლაპარაკე ფილმების შემოღების ხანაში.

თვალი

ვაჭრობა

დიდი ხანია ევროპის ბაზარზე,
დაიწყო ვაჭრობა წვრილად და ბითუმად,
გაიყიდება დღეს თუ არ ხვალ ... ან ზეგ.
ეს არვინ იცის ზლოტად თუ ლირ-თუმნად.

იყიდეთ, იყიდეთ დიდი აქვს ღირსება,
ღვთის მშობლის ქვეყანა, მთები და მინდვრები,
წითელი ფესკებით ბაზარი ივსება,
კლუბებში თამაშობს თათრული ლირები.

სამშობლომ დაგვტანჯა პარიზის ქართველნი,
გაზეთის ფურცლებზე სიტყვათა სიგრძელით,
ალაჰს შევმადლოთ თუ გვწყალობს თათრები,
არქივის უძველეს ყვითელი სიგელით.

გ. ყიფიანი

●●●

„დიდი ქართველი"

(უძღვნი ემიგრაციის კალმოსანთ).

გახლავთ გულწრფელი პოლიტიკოსი
და უცხოეთში ერთგული მუშა,
მორეკა აზრი როგორც ნიგოზი,
უგრამატიკოთ მაგრამ რა უშავს.
მას დაავალეს, მან შეასრულა,
მუშა შრომაში გახლავთ ქებული.
ცოტა ფერები აკლია სურათს
მაგრამ ფულებით გამართლებული,
წინ უდევს შრომით სავსე მაგიდა,
ჩაუკეტია ოთახის კარი,
ისმის სიტყვები ასე ამრიგად:
ის ჯაშუში, ეს ინტრიგანი.
ასო ასოზე, სიტყვები სიტყვებს.
მანქანის ძვლები ივსება ზეთით,
მძიმე, წერტილი, წერტილი კითხვებს
და ჰა — გამოცხვა მთელი გაზეთი.
სტრიქონს ვკითხულობთ ჩვენ კიდით კიდე,
გადაგვარება ზრდილობის ახდა
გინება ბევრი, გინება კიდევ,
ეს გახლავთ კალმის ახალი აღთქმა.

გ. ყ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წიგნი

„სახელმწიფო და ერი“, ანჩინ. გვ. 68. გამოცემა დ. ხელაძის.

„ანჩინ“ი ძველი და ბევრისათვის ნაცნობი ფსევდონიმია. ჩვენ გვახსოვს მისი პირველი წიგნი, სადაც ავტორი, თითონაც სოც. დემოკრატი, ეკამათებოდა სოც. დემოკრატების ერთ ნაწილს, თუ არა ვცდებით, უმთავრესად ბ-ნ ნ. ჟორდანიას, რომელიც მაშინ საქართველოს რუსეთიდან გამოყოფისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდა. შემდეგ მომხდარმა ამბებმა, საქართველოს ისტორიული განვითარების ლოგიკამ ბ-ნ ნ. ჟორდანიას აზრი შეაცვლევინა და დამოუკიდებლობის დროშის ქვეშ დააყენა. ამ აქტით ბ. ჟორდანიამ თითონვე უარყო ის პოზიცია, რომელსაც „ანჩინ“თან დაპირისპირებაში იცავდა. ჩვენი ახლო წარსულის ეს „ისტორია“, ბუნებრივად, ინტერესს აძლიერებს „ანჩინ“ის ახალ ნაშრომისადმი.

წიგნაკი ყურადღებით წავიკითხე და უნდა გამოტყდე: „ანჩინ“ისაგან რაღაც სხვას მოველოდი. ეს არა ნიშნავს, რომ „სახელმწიფო და ერი“ საინტერესო ცდა არ იყვეს. ნაშრომში აღძრულია მთელი რიგი მეტად საყურადღებო საკითხებისა და საგანი გაშუქებულია მარტივი ენით, რაც მკითხველს უადვილებს წიგნის წაკითხვას. მაგრამ ავტორს წამოყენებული აქვს იმდენი სადაო დებულება და უდაოდ მისაღებად აცხადებს ისეთ თეორიებს, რომელებიც სპეციალისტების უმრავლესობას უარყოფილი აქვთ.

ავტორს განუზრახავს განემარტა, ან უფრო სწორედ, თავისი აზრი ეთქვა ორი მცნების: — „სახელმწიფო“ და „ერის“ რაობის შესახებ; ამ მიზნით დაწერილ ნაშრომში რატომღაც ჩაჩხირულია ერთი ეპიზოდი საქ. სოც. დემ. პარტიის წარსულიდან, რომელსაც არსებითად, აღნიშნული მცნებების განმარტებასთან არაფერი აქვს საერთო.

„ანჩინ“ის ყველა სადაო დებულების გახილვა დიდ ადგილს მოითხოვდა, ამიტომ ვეხებით მხოლოდ ძირითად მოსაზრებებს: რა არის ერი და რა არის სახელმწიფო? რომელ მათგანს ეკუთვნის წარმოშობით პირველობა, ე.ი. ჯერ ერი ჩამოყალიბდა და მან შეჰქმნა სახელმწიფო, თუ პირიქით, ჯერ წარმოიშვა სახელმწიფო და მხოლოდ მის საზღვრებში გახდა შესაძლებელი ერის დაბადება? აი, კითხვები, რომელსაც ეხება „ანჩინი“. ავტორის აზრით ჯერ წარმოიშვა სახელმწიფო და მერე ერი: „სახელმწიფო არის დედა, ერი მისი პირმშო“ — ბრძანებს ის.

ამ საკითხზე არსებობს ვრცელი ლიტერატურა და მრავალი ერთი მეორის გამაბათილებელი თეორიები: მეტაფიზიკური სკოლიდან მატერიალისტურ-მარქსისტულ თეორიამდე. ეს უკანასკნელი, ე.ი. მარქსისტული სკოლა ამტიკიცებს, რომ ერი და ეროვნული თვითშეგნება ახალი დროის მცნებაა, მისი წარმოშობა იწყება კაპიტალიზმის ჩასახვის დროიდან და, მაშასადამე, უფრო შორეულ წარსულში მათი ნაშთების ძებნა, ზედმეტია. ამ სკოლის აზრით, ვიდრე ხალხი განსაზღვრულ ტერიტორიაზე დაბინავდებოდა, მის **დაცვას** დაიწყებდა და სამხედრო და ადმინისტრატიული აპარატის ჩანასახს ჩამოაყალიბებდა, ე.ი. ვიდრე სახელმწიფოს ძირითად ატრიბუტებს შეექმნიდა — ერი ვერ იქნებოდაო. ამიტომ მათი აზრით, ჯერ წარმოიშვა სახელმწიფო და შემდეგ მის საზღვრებში, ხანგრძლივი პროცესის შედეგად, უკვე

ახალ ხანაში, ბურჟუაზიის წარმოშობასთან ერთად, დაიწყო ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება და ერების კრისტალიზაცია. ასეთია სქემატიურად, მატერიალისტურ - ბოლშევიკური გაგება. ამ სკოლის მიმდევარი აღმოჩნდა, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი პატივცემული „ანჩინ"იც. ისიც გვარწმუნებს: ჯერ სახელმწიფო წარმოიშვა და მერე ერიო. ეს დებულება ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია. თვალწინა გვაქვს ცოცხალი მაგალითი: ებრაელობას არა აქვს საკუთარი სახელმწიფო და დაფანტულია მთელ დედამიწის ზურგზედ, მაგრამ აქვს ყველა ის სულიერი თვისებები, რომელიც ერს, ეროვნებას ახასიათებს. მაშასადამე, არის შემთხვევა, როცა ერს სახელმწიფო არა აქვს. „ანჩინ"ის ძირითადი, თუ შეიძლება ითქვას შეცდომა, მცნება „ერის" არა სწორად გაგებაშია. ხოლო შემდეგ, მცდარ საფუძველზე დაშენებული დასკვნები, რასაკვირველია, სწორი ვერარ იქნებოდა.

რა არის ერი? არსებობს მრავალი მოსაზრება, მაგრამ ჩვენ დავასახელებთ კლასიკურად მიჩნეულ ფიუსტელ დე კულანჟის განმარტებას: — ადამიანები მაშინ გრძნობენ თავს ერთ ერად, როდესაც მათ მოეპოვებათ საერთო ინტერესები, იდეები, გრძნობები, მოგონებები და იმედები; როდესაც ერთნაირად გრძნობენ ყველაფერს: გამარჯვებებს, დამარცხებებს, სახელს, შეცდომებს, სიხარულს და ტკივილებსაო. მაშასადამე, ერი, უპირველეს ყოვლისა სულიერი მთლიანობაა; ერთიგივეობა ან ნათესაობა მწერლობის, ხელოვნების, მითოლოგიის, გადმოცემების, ზნე-ჩვეულების — ისტორიის. ეს სულიერი მთლიანობა, ნათესავობის გრძნობა, მით უფრო რასიულად მონათესავე ელემენტებში, უთუოდ წინ უსწრებდა ამ ელემენტებისაგან ერთ სახელმწიფოს შექმნას. სწორედ ეს გრძნობა, ნათესაობის შეგნება, გააადვილებდა კიდეც სახელმწიფოს შექმნას. ასე უნდა მომხდარიყო საქართველოშიც. მცხეთის მამასახლისის გაძლიერების ამბავი, რომელსაც „ანჩინ"იც ეხება, სწორდ იმასა მოწმობს, რომ „ქართუელთა ნათესავნი" ე.ი. დღევანდელი ტერმინით ქართველობა, ქართველი ერი, უკვე მისული იყო ერთი სახელმწიფოს შექმნის საჭიროების გაგებამდე, და ეს მისია შეასრულა სხვებზე უფრო დაჯილდოვებულმა და მოხერხებულმა მცხეთის მამასახლისმა. ამრიგად, ჯერ კოლექტივში სულიერი ერთობა — ერის ჩანასახი — და შემდეგ ამ კოლექტივის ცხოვრების ორგანიზაცია, ე.ი. სახელმწიფო და არა პირიქით, როგორც ფიქრობს „ანჩინ"ი.

შევეხებით კიდევ ერთ დებულებას, რომელიც ამ ნაშრომში, როგორც აღვნიშნეთ, თმით მოთრეულია. ეს გახლავთ მტკიცება, რომ ქართველი სოც. დემ-ბი,მ ართალია, ფორმალურად საქართველოს დამოუკიდებლობას არ ითხოვდნენ, მაგრამ ფაქტიურად, რუსეთის თვით მპყრობელობასთან ბრძოლით, ობიექტიურად ამ მიზანს ემსახურებოდნენო. ამის დასამტკიცებლად სოც. დემ-ბის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშაობის დასახელება, არც ისე ძლიერი საბუთია, რომ „ობიექტიური" კრიტიკა აიტანოს, და ეროვნულ საკითხში სოც. დემ. პარტიის მაშინდელი პოზიციის გამართლება შესძლოს. ობიექტიურად საქართველოს მიზნისათვის სასარგებლო იყო მუშაობა არა მარტო „ანჩინ"ი და მისი მეგობრებისა, არამედ იმ დროის ყველა რუსული ოპოზიციური ძალებისაც, რომლებიც თვითმპყრობელობას ებრძოდნენ არა ნაკლების ენერგიით. განა ობიექტიურად ჩვენთვის საზარალო

იყო მაგ., რუს ესერების მებრძოლი ორგანიზაციის საქმიანობა? ისინიც ხომ უდაოდ არყევდნენ რუსეთის იმპერიის საფუძვლებს? თვით ლენინის მაშინდელი მუშაობა? ჩვენის აზრით, ბევრად უკეთესი იქნებოდა, რომ ისტორიის გადაკეთების მაგივრად, სოც. დემ-ები გულახდილად და პირდაპირ იტყოდნენ: დიახ, არ ვიყავით, მაგრამ გავხდით და ვართ დამოუკიდებლობის მომხრეო. ეს მათი ღირსებისა და გულწრფელობის მაჩვენებელიც იქნებოდა. საწინააღმდეგოს მტკიცება უშედეგოდ დროის და ენერგიის ხარჯვაა. ქ—ი

კონსერვატორიაში

ქ-ნ მარგარიტა სალბერგ-ვაჩნაძემ წარჩინებით დაამთავრა პარიზის რუსული კონსერვატორიის პიანოს განყოფილების კურსი. უკანასკნელი გამოცდა, რომელსაც ქართული კოლონიის წევრებიც დაესწრენ, ჰქონდა 22 თებერვალს. ქ-ნ სალბერგ-ვაჩნაძემ მშვენივრად შეასრულა მოცარტის, ბეთჰოვენის, შუმანის, შოპენის, ლისტის და სხვ. ნაწარმოები და აგრეთვე შესანიშნავად დაუკრა, ცალი ხელით, მარცხენით, რეჟერის პრელიუდი და ფუგა, პოლის პოემა და რაველის კონცერტო (ეს უკანასკნელი მეორე როიალის აყოლით). პედაგოგიური საბჭოს და გამომცდელ კომისიის თავმჯდომარემ, კონსერვატორიის დირექტორმა კომპოზიტორმა ბ. ჩერეპნინმა თბილი სიტყვით გააცნო საბჭოს დადგენილება: „თქვენი ცოდნა საბჭომ „ხუთი“ ნიშნით დააფასა, რადგანაც რუსულ ხუთნიშნიან სისტემაში უფრო დიდი ნიშანი არ მოგვეპოვებაო. განსაკუთრებით აღვნიშნავთ თქვენი მარცხენა ხელის ზედმიწევნით განვითარებას, რაც დიდ სამსახურს გაგიწევთ თქვენს მუსიკალურ მომავალშიო. მე პირადად მით უფრო მოხარული ვარ, რომ თქვენ იმ მშვენიერი ქვეყნის ასული ბრძანდებით, რომლის მოგონება მე ყოველთვის სიამოვნებას განმაცდევინებსო და სხვ.

გამომცდელმა კომისიამ, დამსწრე საზოგადოებამ და ამხანაგებმა ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა ახალგაზრდა ნიჭიერი პიანისტი.

ჩვენც უსურვებთ ბრწყინვალე მომავალს და ქართულ მუსიკალურ დარგში ღირსეული წვილილის შეტანას. ა — ნი

***

ეთერ რუხაძის კონცერტი

12 მარტს, გავის დარბაზში მოეწყო 13 წლის ეთერ რუხაძის რესიტალი. მიუხედავად მცირეწლოვანებისა ეთერმა დაუკრა მოცარტის (ფანტაზია), ბახის (იტალიური კონცერტო), მენდელსონის, სენ-სანსის, ვებერის (რონდო), და შოპენის (ტარანტელა, ანდანტე და პოლონეზი). პირველი ავტორები (მოცარტი და ბახი) კარგად იყო შესრულებული. შემდეგში ბავშვს დაეტყო დაღლილობა, მაგრამ მაინც ორი უკანასკნელი ნომერი (შოპენის) დიდი მონდომებითა და გრძნობით იყო გადმოცემული. განსაკუთრებული სილამაზით და ბავშვისათვის გასაკვირი ტექნიკით შეასრულა მან პოლონეზი.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ რიგს გარეშე ნიჭიერი ბავშვის მოვლა და სათანადო პირობებში განვითარება, პატარა ეთერს — ქართული ტიპის ლამაზსა და ნაზ ბავშვს — გახდის კარგ არტისტად და სასიქადულო ქართველ ქალად. ნიჭი თავისას გაიტანს. ა — ნი

Gérante : *M. A. Méliva.* Imp. de Navarre: 5, rue des Gobelins, Paris